# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 16 დეკემბერი. 2016 წ. №235 (8127), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.





## თვითჩარეცხილების ომი

## საპარლამენტო დაპირისპირებაში ოპოზიციამ კაპიტულაცია გამოაცხადა და თავისი უსუსურობა აღიარა ⑤

## გიორგი კვირიკაშვილი: ჩვენმა მოსახლეობამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაივიწყოს საბჭოთა კურსი ②



# საქართველოში რევოლუცია მწიფდება? ④



## „თუ ომი დაიწყო, რუსეთის მთავრობა ათ იუნესკოს გადაწყვეტილებასაც არაფრად ჩათვლის“



⑪ მცხეთის ისტორიულ ძეგლებს ჩვენ უნდა მივხედოთ!



⑧

## საქართველოს ნატოში გაწევრება კავკასიაში ალიანსისა და რუსეთის დაპირისპირების ცხელ წერტილს უზრუნველყოფს

## ვირუსით დაავადებულთა 16% ჰოსპიტალიზებულია

**საქართველოს 6 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყდა. მიზეზი უამინდობა და გავრცელებული ვირუსებია. ამ დროისთვის, უამინდობის გამო სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს ამბროლაურში, სოფელ პატარა ონის სკოლაში, ნინოწმინდის 2 საჯარო სკოლაში, ასევე ხელვაჩაურის 4 სოფელში.**

**საქართველოში გრიპის 46 შემთხვევაა ლაბორატორიულად დადასტურებული. რაც შეეხება ქვეყანაში ავადობის გავრცელების მაჩვენებელს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, დღევანდელი მონაცემებით, გავრცელების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 254 დაავადებულს შეადგენს. დაფიქსირებული 46 შემთხვევიდან 16% ჰოსპიტალიზებულია.**

## ფოთის პორტში ვითარების გამოსასწორებლად მთავრობა პორტის მმართველ კომპანიასთან ერთად 24-საათიან რეჟიმში მუშაობს

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე დავით ხუციშვილი ფოთის ნავსადგურში არსებული მდგომარეობის გამო ნავსადგურის მმართველ კომპანია „APM ტერმინალსის“ კომერციულ დირექტორს ჯოზეფ ქროულს შეხვდა. მხარეებმა ფოთის ნავსადგურში არსებულ მდგომარეობასა და ვითარების გამოსწორების ღონისძიებებზე იმსჯელეს.**

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ფოთის ნავსადგური უამინდობის გამო შეფერხებებით მუშაობს. წლევანდელი ზამთრის მკაცრი მეტეოპირობების გამო, 3 დეკემბერს ღამით ძლიერი შტორმის შედეგად ფოთში ტალღების სიმაღლემ 6 მეტრს მიაღწია. მდინარე რიონის ადიდებამ ზღვაში დიდი რაოდენობის ნაშალი მასალისა და ქვა-ღორღის ჩატანა გამოიწვია. შედეგად, ფოთის ნავსადგურში წყლის სიღრმე 5 მეტრამდე შემცირდა. ასეთი მოცულობის ქვა-ღორღის შეტანის ფაქტი და სტიქიური მოვლენები, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მეტეოროლოგებს არ ახსოვთ.



**„სტიქიიდან გამომდინარე, დღეს ფოთის პორტი სრული წარმადობით ვერ ფუნქციონირებს. ტვირთების ნაწილის გადამისამართება ბათუმის პორტში მოხდა და მათთან 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ. თვითონ პორტის ხელმძღვანელობაც აქტიურადაა ჩართული ფოთიდან გადამისამართებული გემების მომსახურების პროცესში. მენეჯმენტი ცდილობს, გადაანაწილოს მისი რესურსები გემების დროული მომსახურების მიზნით“,** – განაცხადა დავით ხუციშვილმა.


თემის გაგრძელება იხ. მე-9 გვ.

# გიორგი კვირიკაშვილი: 100 პროცენტზე მეტად გაუფასურდა ყველა ძირითადი ვალუტა

პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის თქმით, თუ პროცენტებში შევხედავთ, რაზეც ოპონენტები ხშირად აპელირებდნენ — ეს იყო წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაციები.

**„100%-ზე მეტად გაუფასურდა ყველა ძირითადი ვალუტა: თურქული ლირა, უკრაინული გრივნა (200%-ზე მეტად გაუფასურდა) რუსული რუბლი (90%—ის ფარგლებში), აზერბაიჯანული მანათი (100%-ს ზევით). 2012 წელზე იყო საუბარი, რომლის შემდეგ ქართული ლარი არის გაუფასურებული დაახლოებით 60-65%-მდე ფარგლებში. ეს არ არის კარგი, თუმცა მინდა, ვთქვა, რომ საქართველო, თავისი ეკონომიკური განვითარების დინამიკით, მიუხედავად ყველა გამოწვევისა და იმ სოციალური ფონისა, რომელშიც დღეს ჩვენი მოსახლეობაა, გამომდინარე ჩვენი ქვეყნის განვითარების დონიდან, იმყოფება ძალიან კარგ პირობებში საიმისოდ, რომ ვიმსჯელოთ მომავალ ძალიან მნიშვნელოვან განვითარების გეგმებზე.**



**ყველა ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ ვდგამთ, არის ორიენტირებული იმისკენ, რომ გვქონდეს უფრო მაღალი განვითარების დინამიკა, ვიდრე ეს ჩვენს გარშემო არსებულ სამეზობლო ქვეყნებშია. ეს არის ჩვეულებრივი კონკურენცია — საქართველო იმყოფება კონკურენციაში ინვესტიციების მოზიდვის კუთხით და ამიტომ ჩვენი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები უნდა იყოს უკეთესი იმისთვის, რომ რეგიონში წამოსული ინვესტიციების დიდი ნაწილი მოხვდეს საქართველოში. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვჭირდება აქცენტის გაკეთება იმ მიმართულებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მეტი სავალუტო საშუალებების გენერირება, მეტი ინვესტიციების მოზიდვა და ყველა ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ ვდგამთ, არის სწორედ აქეთკენ მიმართული“,** — განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ ბიუჯეტი მიმართულია იქეთკენ, რომ ქვეყნის ის პრობლემები, რომლებშიც წლების განმავლობაში არსებობდა, ამოიწუროს და გადაიჭრას ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემები.

**„ეს არის ეკონომიკის სტრუქტურული გაუმჯობესება და გაჯანსაღება; ეს არის იმ მიმართულებების განვითარება, როგორიც არის ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება; ეს არის იმ სერვისების განვითარება, რომელიც ასევე უცხოური ვალუტის გენერირებაზე იქნება ორიენტირებული—უპირველეს ყოვლისა, ტურიზმი. ტურისტულ ინფრასტრუქტურაში იხარჯება ძალიან მნიშვნელოვანი რესურსი და ყოველივე ამის შედეგად ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნებით დამოუკიდებელი სხვა პროცესებისგან, მაგრამ ერთი რამე შეგვიძლია, ვთქვათ: თუ ჩვენს გეოგრაფიულ არეალში იქნება მაღალი განვითარების დინამიკა, საქართველოს ექნება კიდევ უფრო მაღალი განვითარების მაჩვენებლები. თუ ჩვენს რეგიონში იქნება არასახარბიელო ეკონომიკური ვითარება, ჩვენ მაინც გვექნება უკეთესი მაჩვენებლები, გამომდინარე ყველა იმ ნაბიჯიდან, რომელსაც ვდგამთ.**

**ჩვენ გვესმის მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები და გვესმის ყველაზე უკეთ, სხვათა შორის. ძალიან ადვილია ასეთ დროს პოლიტიკური ქულების დაწერა ჩვენი ოპონენტების მხრიდან. ეს ვითარება აუცილებლად შეიცვლება, ვინაიდან ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ყველა იმ ნაბიჯზე, რომელსაც ვდგამთ. ეს არ არის ველოსიპედის გამოგონება, ჩვენ არ ვაკეთებთ არაფერს ინოვაციურს ამ შემთხვევაში — ვდგამთ ნაბიჯებს, რომლებსაც მოაქვს მეტი ეკონომიკური დინამიკა, მეტი განვითარება და უფრო მეტი ზრდა.**

**ჩვენ ვაკეთებთ 10%-იან ოპტიმიზაციას. ის განცხადებები, რომლებიც გვესმის, რომ 30%-ით შეამცირეთ ხარჯები, მათემატიკურად არის შესაძლებელი, მაგრამ ეს არის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო მიდგომა, რომელზეც ჩვენ არ წავალთ. ჩვენ ვამცირებთ ხარჯებს იმ დონეზე, რა დონეზეც შეგვანარჩუნებინებს ჯანსაღი განვითარების დინამიკას. ასევე ვაკეთებთ საგადასახადო ლიბერალიზაციას იმ მიმართულებაზე, რომელიც ყველაზე მეტად აისახება პოზიტიურად ეკონომიკური ზრდის დინამიკაზე. ვაკეთებთ გადასახადების ზრდას იმ მიმართულებებზე, რომლებსაც ყველაზე ნაკლები უარყოფითი ზეგავლენა ექნება ეკონომიკურ ზრდაზე. თითოეული ნაბიჯი, რომელსაც ვდგამთ, მიმართულია იმისკენ, რომ ქვეყანაში შევქმნათ სწორი განვითარების პროცესი, მოხდეს ეკონომიკის სტრუქტურული გაჯანსაღება, ჩვენი სავაჭრო ბალანსი გაჯანსაღდეს, რათა ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული უცხოური ვალუტის რყევებზე და ჩვენმა მოსახლეობამ ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყოს სავალუტო კურსი და შეხედოს მხოლოდ და მხოლოდ ფასთა დონის ცვლილებასა და ინფლაციას“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# ჩვენმა მოსახლეობამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაივიწყოს სავალუტო კურსი!

გუშინ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერმა ეკონომიკურ გეგმაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავრობის თითოეული ნაბიჯი მიმართულია ეკონომიკის სტრუქტურების გაჯანსაღებისკენ. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ხელისუფლების მთავარი გეგმაა, ქვეყნის ეკონომიკა უცხოურ ვალუტაზე არ იყოს დამოკიდებული.

**„ჩვენი გეგმის თითოეული ნაბიჯი ეკონომიკური განვითარებისკენაა მიმართული, რათა მოხდეს ეკონომიკის სტრუქტურული გაჯანსაღება, ჩვენი სავაჭრო ბალანსი გაჯანსაღდეს, იმისათვის, რომ ჩვენ ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული უცხოური ვალუტის რყევებზე და ჩვენმა მოსახლეობამ ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყოს სავალუტო კურსი და შეხედოს მხოლოდ ფასთა დონის ცვლილებასა და ინფლაციას“,** — განაცხადა პრემიერმა.

# პაოლო ჯენტილონის იტალიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა მიულოცა

მისალოც წერილში, რომელიც გიორგი კვირიკაშვილმა იტალიელ კოლეგას გაუგზავნა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი პაოლო ჯენტილონის თბილისში ვიზიტს იხსენებს, რომელსაც ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

**„დარწმუნებული ვარ, ამ ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრებისას, ნათლად გამოჩნდა ჩვენი განსაკუთრებული დამოკიდებულება იტალიის მიმართ და ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს ვანიჭებთ. ჩვენ დიდად ვაფასებთ იტალიის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, ასევე თქვენს მნიშვნელოვან დახმარებას ჩვენი შიდა რეფორმების განხორციელებაში და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ხორცშესხმაში“,** — ნათქვამია გიორგი კვირიკაშვილის წერილში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასევე აღნიშნავს, რომ დიდად აფასებს პაოლო ჯენტილონის პირად წვლილს, ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებაში.



# დამტკიცდა 2017 წლის ბიუჯეტი

**საქართველოს პარლამენტის უმრავლესობამ 14 დეკემბერს, პლენარულ სხდომაზე 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა. „ქვეყნის ეკონომიკა არის ჯანმრთელი, ჯანსაღი და აუცილებლად განვითარდება“, განაცხადა პროექტის წარდგენისას საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, რომლის თანახმადაც 2017 წლის ბიუჯეტი სწორედ პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. მისგან და მმართველი გუნდისგან რადიკალურად განსხვავდებოდა პოლიტიკური ოპოზიციის შეფასებები. ოპოზიცია ფიქრობს, რომ მომავალი წლის ფინანსური დოკუმენტი ქვეყანასა და მის მოსახლეობას გაღარიბებით ემუქრება.**

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, მომავალი წლის ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის — „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ — შესრულებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ანუ რეფორმების ოთხპუნქტიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებისა და დასახული შედეგების მიღწევის მიზნით, მთავრობის თანახმად, მნიშვნელოვანია არსებული ფისკალური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. მათ შორის, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ისეთი ბერკეტების ამოქმედება, როგორიცაა: საბიუჯეტო ორგანიზაციებში შრომის ანაზღაურებისა და ადმინისტრაციული ხარჯების შეკვეცა 10-10 პროცენტით, საბიუჯეტო პროგრამების ნაწილის შემცირება ან გაუქმება, სახელმწიფო ავტოპარკისა და საწვავის ხარჯების შემცირება და სხვა. საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს, ასევე, დამატებითი შემოსავლების მიღების ისეთი საშუალებების ამოქმედებას, როგორიცაა თამბაქოს ნაწარმზე, ავტომობილებსა და ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის გაზრდა:

**„აქვე ძალიან მნიშვნელოვანია და კვლავ მინდა, დავუბრუნდე მოგების გადასახადის რეფორმას, რომელიც დამატებით, ყოველწლიურად 500 მილიონი ლარის ლიკვიდობას შექმნის ჩვენს კერძო ბიზნესში, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად 10 000-ობით სამუშაო ადგილი შეიქმნება, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო სექტორის ინვესტიციები იქნება წახალისებული და სწორედ ეს არის ის გადასახადი, რომელიც არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებისთვის“,** — განაცხადა მომავალი წლის ბიუჯეტის მთავარი პარამეტრების პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარდგენისას საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, **საქართველოს 2017 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 11 457, 2 მლნ ლარით განისაზღვრა.** მათ შორის შემოსავლებია 9 489,5 მლნ ლარი, საიდანაც საგადასახადო შემოსავლებია 8 820, 0 მლნ ლარი, გრანტები - 284, 5 მლნ ლარი, სხვა შემოსავლები კი - 385, 0 ლარი. პროექტის მიხედვით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 4 პროცენტით უნდა გაიზარდოს, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი კი 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო ოდენობის 4,1 პროცენტზეა დაგეგმილი. ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი** ამბობს, რომ **დეფიციტის შემცირება 2020 წლისთვის საგრძნობი იქნება:**

**„შეფასებული ბიუჯეტის დეფიციტი ჩვენ გვექნება 4, 1 პროცენტი, შემდგომში — 3,8; 3,6 და 2,5 ჩამოვალთ უკვე 2020 წლისათვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დეფიციტის ფარგლებში დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება არის გათვალისწინებული შესაბამისად. მინდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნული დაფინანსების წყაროები იქნება საგარეო ვალის წმინდა, ზრდა — 935 მილიონი, საშინაო ვალის ცვლილება აქ იქნება 390 მილიონი ლარი და პრივატიზაცია იქნება 160 მილიონი ლარი“.**

**ფინანსთა მინისტრი განმარტავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 11 415, 5 მილიონი ლარის ოდენობით განისაზღვრა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა კი 9 121, 2 მლნ ლარს შეადგენს.** წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული: **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება,** მაგალითად, 2016 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 144, 8 მლნ ლარითაა გაზრდილი და **1 116.2 მლნ ლარს შეადგენს, თავდაცვის სამინისტროსთვის 748,0 ლარია გამოყოფილი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის — 585, 0 მლნ ლარი, ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი კი 3 415.8 მლნ ლარი იქნება.** 2016 წლის გეგმასთან შედარებით, ჯანდაცვის სა-

# პარლამენტმა საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილება დაამტკიცა



**პარლამენტმა დაამტკიცა დადგენილება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ. კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე იქნება.**

დებულებას მხარი 96 ხმით დაუჭირეს. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პირველ სხდომას, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლომდე გამართავს. კომისია იმავე ფორმატის იქნება, რა ფორმატითაც ის სამი წლის წინათ შეიქმნა.

კომისია 60 წევრისგან დაკომპლექტდება და მის შემადგენლობაში როგორც საპარლამენტო, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები და კონსტიტუციური ორგანოს წარმოდგენლები, ასევე, სამოქალაქო სექტორი და ექსპერტები შევლენ. კომისიის წევრი იქნება დამოუკიდებელი მაჟორიტარი სალომე ზურაბიშვილიც. პრეზიდენტის ადმინისტრაციის არცერთი წარმომადგენელი და არც უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი კომისიის მუშაობაში ჩართულები არ იქნებიან.

# წულუკიანი უწყებიდან 200-მდე თანამშრომლის გათავისუფლებას გეგმავს

მინისტრის თქმით, სამინისტრო ადმინისტრაციული ხარჯების 15%-მდე შემცირებას გეგმავს, თუმცა ძირითადი დატვირთვა გამოცხადებული ვაკანსიების გაუქმებაზე მოვა.

**„სადაც 10%-მდე შემცირების საშუალება იყო, იუსტიციის სამინისტროში ეს უკვე გაკეთებულია. მაგალითად, 13-14%-ით, სადაც იყო ამის საშუალება, იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებში ეს უკვე არის მომხდარი. იუსტიციის სამინისტროში ხელფასების შემცირება არ ხდება, ჩვენ ვართ პროკურატურის მიღმა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დაახლოებით 5500 საჯარო მოხელე და არ არის გამორიცხული, რომ ამათგან 200-მდე ადამიანი, შეიძლება ნაკლებიც, სხვადასხვა სიპებიდან მოყვნენ რეორგანიზაციაში,“** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

# მამუკა მდინარაძე: ბიუჯეტის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, არანაირი პრობლემა არ არსებობს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის შეფასებით, 2017 წლის ბიუჯეტის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, არანაირი პრობლემა არ არსებობს. რომან გოცირიძის განცხადების კომენტირებისას მან ჟურნალისტებთან განმარტა, რომ ბიუჯეტი პარლამენტში ერთი მოსმენით მიიღება, ხოლო მისი თანმდევი კანონპროექტები სამი მოსმენით.

**„კონკრეტული საკითხები მიმართულია ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ და არა შეფერხებისკენ. ვიმედოვნებთ, რომ თითოეული სვლა, რომელიც გაწერილია ბიუჯეტში, მოხმარდება ეკონომიკის გაჯანსაღებას. სტერეოტიპული მიდგომებისგან უნდა გავთავისუფლდეთ. მათ შორის იურიდიულ სფეროში. ბიუჯეტი ერთი მოსმენით მიიღება, თანმდევი კანონპროექტი სამი მოსმენით. სწორი სამართალებრივი პრაქტიკა უნდა დაინერგოს, რომ ერთი მოსმენით გასატანი კანონპროექტი და სამი მოსმენით გასატანი კანონპროექტი მაინც და მაინც ერთად არ უნდა განიხილოს. გარდა ამისა, თანმდევი კანონპროექტები ამოქმედებას ბიუჯეტს არ დაასწრებენ, აქედან გამომდინარე, არანაირი სამართლებრივი პრობლემა აქ არ არის. მათი ამოქმედების ვადები ერთმანეთს არ უსწრებს. სამართლებრივ პრობლემაზე საუბარი არაკვალიფიციურია“,** — განაცხადა მამუკა მდინარაძემ. საპარლამენტო უმცირესობის წევრი რომან გოცირიძე 2017 წლის ბიუჯეტს არალეგიტიმურს უწოდებს.

**როგორც გოცირიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, პარლამენტს ჯერ საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები უნდა მიეღო, შემდგე კი მომავალი წლის მნიშვნელოვანი ფინანსური დოკუმენტი უნდა დაემტკიცებინა.**

მინისტროს ბიუჯეტი 253,8 მლნ ლარითაა გაზრდილი. ეს ზრდა არასაკმარისად მიაჩნია მმართველი ძალის ოპოზიციურ „ნაციონალურ მოძრაობას“, კერძოდ, მის წარმომადგენელს **გიგი წერეთელს**:

**„როცა ლაპარაკობთ სოციალურ სფეროზე, იქ მატება გაქვთ საპენსიო ნაწილში, რომ შენარჩუნდეს 180-ლარიანი პენსია ამ წელიწადს, ასევე -მაღალმთიანი რაიონების უზრუნველყოფაზე, მაგრამ თვითონ ჯანდაცვაზე, თუ არ ვცდები, სადღაც 24 მილიონი ემატება. თუ ამ მოდელს ინარჩუნებთ, მაშინ რა ფინანსურ გათვლებს უკავშირებთ ასეთ მცირე მატებას? იმიტომ რომ, როგორც გითხარით, ყოველ წელს თითქმის 100 მილიონამდე დამატება სჭირდება ამ ბიუჯეტს და ის კიდევ უფრო გაიზრდება მომავალ წელსაც, თუ გავითვალისწინებთ ფასებს და ინფლაციას“.**

პლენარული სხდომის დარბაზში ფინანსთა მინისტრის მიმართ დასმული შეკითხვები თანაბრად შეეხებოდა როგორც მომავალი წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის დაგეგმილ პარამეტრებს, ისე, ზოგადად, მთავრობის ეკონომიკურ კურსს და განსაკუთრებული სიმწვავით — სავალუტო კრიზისს. დეპუტატი **რომან გოცირიძე** მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელ საკითხს მთავრობა ზედაპირულად უყურებს და, მისი შეფასებით, განცხადებები საგანგაშოა:

**„როგორ შეაჩერებენ ფასების ზრდას ლარის ასეთი საშინელი გაუფასურების პირობებში? რა მექანიზმი არსებობს, აპირებენ თუ არა სუბსიდირებას და ბიუჯეტში, ასე ვთქვათ, თანხების მოძიებას, რაც ან დამატებითი ვალის აღებას ნიშნავს, ან ნიშნავს სხვა ახალი გადასახადების შემოღებას? თუ არ აპირებენ, სადამდე იქნება პოლიტიკური ზეწოლა მარეგულირებლებზე?“**

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მოსაზრებების წარადგენისას, თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ განაცხადა, რომ, 2016 წლის გეგმასთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები სულ 10,5 პროცენტითაა გაზრდილი და ეს მატება ძირითადად აქციზის გადასახადზე მოდის. აქვე მან დააზუსტა, რომ აქციზის გადასახადის გაზრდა ზოგიერთი საქონლის გაძვირებას გამოიწვევს, თუმცა ზრდის გავლენა წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი არ იქნება.

თუმცა ის, რომ 2017 წლის ფინანსური დოკუმენტი ეკონომიკური ზრდის ბიუჯეტია, არადამაჯერებელი გამოდგა ოპოზიციისთვის — ნაციონალურმა მოძრაობამ და პატრიოტთა ალიანსმა ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს.

**ნონა მჭედლიშვილი**

⊙ ხალხის აზრი

# პარლამენტი: ქუთაისში თუ თბილისში?!



**ჩვენი თანამოქალაქეების უმრავლესობის აზრით, სახელმწიფო ბიუჯეტის „ახირებული“ ხარჯია ქვეყნის პარლამენტის „ორ ქალაქად“ ყოფნა, რაც, ბუნებრივია, დიდძალ თანხებს მოითხოვს, თანაც მას უაღრესად საქმიანი ხალხის ტყუილად მოცდენა მოჰყვება. ამის თაობაზე ადრეც ბევრი ითქვა და დაიწერა, ბევრმა გამოთქვა საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულება და, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ აზრთა გარკვეული სხვაობაც არსებობს. თუმცა კი, ალბათ, უმჯობესი იქნება ამ საკითხზე ჩვენი რესპონდენტების აზრი გავიგოთ, რომლებსაც რედაქციამ ამ დღეებში ერთადერთი კითხვით მიმართა: „როგორ მიგაჩნიათ, სად უნდა იმყოფებოდეს საქართველოს პარლამენტი: ქუთაისში, თბილისში თუ ისე უნდა დარჩეს, როგორც დღესაა გარკვეულწილად „გაორებულ“ მდგომარეობაში?“**





**როინ მეტრეველი, აკადემიკოსი:** — მიმაჩნია, რომ პარლამენტი ასე ორად კი არ უნდა იყოს „გახლეჩილი“, არამედ ერთ ადგილას, დედაქალაქში უნდა იყოს მობილიზებული. იმის გარდა, რომ საკანონმდებლო ორგანოს ასე ორ ქალაქად ყოფნა ბიუჯეტს მეტად მძიმე ტვირთად აწვება, მთავარი გარემოება ისაა, რომ ყველა მხარის მოსახლეობისთვის, უპირველესად კი იმ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთათვის, ვისაც პარლამენტთან ხშირი ურთიერთობა უწევთ, გაცილებით უფრო მოხერხებულია საკანონმდებლო ორგანოს დედაქალაქში ყოფნა!



**ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:** — თქმა არ უნდა, პარლამენტი თბილისში უნდა იყოს, ქუთაისი კი სხვა, ვფიქრობ, მისთვის გაცილებით უფრო მოსახდენი საქმეებით უნდა დავტვირთოთ, პირველ რიგში, ცხადია, კულტურას ვგულისხმობ. ჩვენ არა ვართ ისეთი მდიდარი ქვეყანა, რომ ორ ქალაქზე გადანაწილებული ხელისუფლება შევინახოთ.

**თამაზ ჩიგოგიძე, ბიზნესმენი:** — დიდად მორწმუნე არა ვარ, მაგრამ, ერთ რამეში მაინც მტკიცედ ვარ დარწმუნებული, ქუთაისში პარლამენტის დღევანდელი ადგილსამყოფელი, რომ იტყვიან, „ცოდვიანი ადგილია“, რაც ასეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტისთვის აშკარად შეუფერებელია.

**თენგიზ ბროლაძე, მუსიკოსი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი:** — ვფიქრობ, პარლამენტის ახლანდელი სამუშაო რეჟიმი ურიგო არ არის. მართალია, დეპუტატებს ბევრი სიარული უწევთ აქეთ-იქით, მაგრამ მათი საქმეც ხომ ხალხის სამსახურში ყოფნაა, განა ასე არ არის? რაც შეეხება ხარჯს, არა მგონია, ის ბიუჯეტისთვის ისეთი დიდი იყოს, რომ მისი დაზოგვით რაიმე საფუძვლიანის გაკეთება იყოს შესაძლებელი.



**გივი გაბუნია, არქიტექტორი:** — მე თუ კაცი მკითხავს, საქართველოსთვის პარლამენტი, მით უმეტეს ასე, უკაცრავად და, „გაბერილი“, საერთოდ არ არის საჭირო, თუმცა კი ეს სხვა საუბრის თემაა. ისე კი მიმაჩნია, რომ დედაქალაქი რაც შეიძლება მეტად უნდა იყოს განტვირთული სხვადასხვა ბიუროკრატიული უწყებისგან, ისინი მაქსიმალურად მხარეებში უნდა იყოს გადატანილი. რაც შეეხება ხარჯს, ჩემი აზრით, ის არ არის იმ დონისა, რომ მოსახლეობის სოციალურ ყოფაზე ოდნავ მაინც დადებითად აისახოს. მსგავსი პრაქტიკა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია მიღებული, მათ შორის ისეთ მოწინავეში, როგორიცაა, ვთქვათ, გერმანია.

**ოთარ ტურაბელიძე**

# კახი კალაძე: ელექტროენერგიაზე ფასი არ გაიზრდება, თუმცა, ეს მაინც სემეკმა უნდა გადაწყვიტოს

**მიუხედავად იმისა, რომ კალაძემ გადასახადის გაძვირება გამორიცხა, დასძინა, რომ ეს საკითხი სემეკმა მომავალ კვირას ჩანიშნულ სხდომაზე უნდა გადაწყვიტოს. ენერგო-პრო ჯორჯიასთვის და თელასისთვის ტარიფი უკვე 3 თეთრით გაიზარდა.**



## „გაზპრომთან“ შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა

ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე აცხადებს, რომ „გაზპრომთან“ შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. კალაძის განმარტებით, მისი პოზიციაა, დარჩეს იგივე პირობები, რაც არსებობს.

**„იცით, რომ ყოველწლიურად ხდება იმ ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც არსებობს. ეს არის ტრანზიტის ხელშეკრულება. კონკრეტულად, შეხვედრის შინაარსს რაც შეეხება, მათი მხრიდან იყო საუბარი იმაზე, რომ ჩვენ გადავიდეთ ფინანსურ ანაზღაურებაზე. გატარების საფასურს ჩვენ დღეს ბუნებრივი აირის სახით ვიღებთ (მთლიანი მოცულობის 10%-ს). ჩვენთვის მათი წინადადება მიუღებელია. ჩვენ გვაქვს ჩვენი მოსაზრებები და ყოველთვის დავიცავთ ჩვენი ქვეყნის ინტერესს“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

**არჩევნებიდან სულ რამდენიმე კვირის მერე, გამარჯვებული „ქართული ოცნება“ პოლიტიკურად ლამის ჩამოიშალოს. სიტუაცია ძალიან ჰგავს 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ წინარე პერიოდს, როდესაც უკვე „ატმოსფეროც“ კი გაჟღენთილი იყო რაღაცის მოლოდინით და ეს „რაღაც“ ნამდვილად მოხდა.**

**საერთოდ, ნებისმიერი რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ატმოსფეროს (!) პროდუქტია. ამიტომ „რაღაცის“ მოლოდინი უეჭველად განხორციელდება.**

**ზბიგნევ ბჟეზინსკის ეკუთვნის ერთი ძალიან ღრმა გამონათქვამი საქართველოზე: „სანამ სიტუაცია საქართველოში გამოიყურება, როგორც სტაბილური, იგი ასეთად დარჩება“.**

**მაშასადამე, თუ ლოგიკურად გავაგრძელებთ ამ აზრს და მის პერიფრაზსაც შევეცდებით, საქართველოში სიტუაციის „ასარევად“ საკმარისია, იგი აღარ „გამოიყურებოდეს“, როგორც სტაბილური, ხოლო ხელისუფლება ძლიერად დარჩება მხოლოდ მანამ, სანამ იგი ძლიერი „ჩანს“.**

**როგორც კი ხელისუფლება აღარ ჩანს ძლიერი, ანუ ტოვებს დაბნეულისა და შეშინებულის შთაბეჭდილებას, მისი საქმე წასულია!**

# საქართველოში რევოლუცია მწიფდება?



მერედა, ვინ ქმნის ამ შთაბეჭდილებებს ქვეყანაში, ანუ ვინ ამკვდრებს იმ მძიმე, ჩახუთულ ატმოსფეროს, რომელიც ადრე თუ გვიან (უფრო ადრე, ვიდრე გვიან) რისხვიან ჭექა-ქუხილად და შვებისმომგვრელ რევოლუციურ თავსხმად მოევლინება ხელისუფლებას? რა თქმა უნდა მედია!

მიშამ ეს შესანიშნავად იცოდა. ისიც იცოდა, რომ რეკლამაზე (ესე იგი რეიტინგზე) დამოკიდებული ტელევიზია შეუძლებელია, არ იყოს კრიტიკული, შეუძლებელია, არ ამკვიდრებდეს ქვეყანაში აპოკალიპტურ ატმოსფეროს, ვინაიდან სკანდალი, ნეგატივი და „სიმძიმე“ უფრო საინტერესოა, უფრო მიმზიდველია, შესაბამისად, უფრო „იყიდება“... ხელისუფლების მომხრეობა ცუდი ტონია (მინიმუმ), ხოლო მაქსიმუმ სამარცხვინოცაა.

ამგვარ განწყობებზე მუშაობა უფრო მომგებიანია, ხოლო იმ ხელისუფლების საქმე, რომელსაც მედიაში დასაყრდენი აღარ დარჩა, რომლის წინააღმდეგ ერთდროულად რამდენიმე ტელექვემეხი ქუხს, თანაც კრეატიულად და ნიჭიერად, ხოლო სხვები, როგორც მინიმუმ ნეიტრალურები არიან (ერიდებიან მომხრეობა არ დაბრალდეთ), ორგზის წასულია.

**ცოტა კომიკურია, რომ „ხელისუფლების ჩამოშლაზე“ გვიწევს ლაპარაკი მაშინ, როდესაც არჩევნებიდან სულ რამდენიმე კვირაა გასული. 8 ოქტომბრის არჩევნები „ოცნებამ“ მოიგო! ნამდვილად მოიგო, რადგან ხალხის უმრავლესობამ, რომელსაც მშვიდი ცხოვრება უნდა, აღარ უნდა რევოლუციები და გადატრიალებები, სტაბილურობას მისცა ხმა.**

მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს: ძალაუფლების საკითხს საქართველოში წყვეტს არა ობივატელური, ტელევიზორთან წამოგორებული უმრავლესობა, არამედ პასიონარული, „გამკეთებელი“ და აქტიური უმცირესობა. მით უმეტეს, როდესაც ხსენებული ატმოსფერო მართლა აირით გაძეძგილ კამერას ემსგავსება და ერთი ნაპერწკალიღაა საჭირო.

* * *

მივაქციოთ ყურადღება, როგორ „მოეფერა“ ბოლო დროს რამდენჯერმე მიშა (უკრაინიდან) თავის ერთგულ ახალგაზრდა გვარდიას — „თავისუფალ ზონას“.

ამასობაში, ნაციონალური მოძრაობის მცირერიცხოვანმა, თუმცა გამოცდილმა და ენაგატლეკილმა გუნდმა ათით-ნული მოუგო ყველა საპარლამენტო დებატი მრავალრიცხოვან (საკონსტიტუციო), თუმცა პოლიტიკაში სრულიად გამოუცდელ, სოლიდურ, დინჯ, აკადემიურ, მაგრამ ენაბლუ, უნდილ, ნაცრისფერ უმრავლესობას. „ნაცების“ სპიკერებმა აშკარად დაჯაბნეს „ქოცების“ სპიკერები.

„ოცნების“ უმრავლესობის წევრთა გულგრილ, მშვიდ სახეებს აწერია: არჩევნები მოვიგეთ და აწი იყვირეთ რამდენიც გინდათ, მომავალ არჩვენებამდე კიდევ 4 წელია და მანამდე...

ნურას უკაცრავად: მომავალ არჩევნებამდე, ანუ იმ კრიტიკულ მომენტამდე, როცა სიტუაციის და ატმოსფეროს მომწიფება ყოველთვის შეიძლება გამოიყენო რევოლუციის ასაგორებლად, 4 წელი კი არა, 1 წელიც არ დარჩა: ადგილობრივი არჩევნები უკვე მომავალ წელსაა დანიშნული.

„ვარდების რევოლუციის“ ტექნოლოგია კი გულისხმობს არჩევნებს, როგორც საბაბს! არა აქვს მნიშვნელობა რა დონის არჩევნები იქნება: სერბეთში, მაგალითად, იქაური „ვარდების რევოლუცია“ არა საპრეზიდენტო ან საპარლამენტო, არამედ მუნიციპალური არჩევნების გაყალბების საბაბით მოხდა. მართლა იყო თუ არა გაყალბება, არავის დააინტერესებს. მთავარია ხელისუფლება იყოს დაჩმორებული და რევოლუციის „გაპრავება“ შეიძლებოდეს.

**აქვე ჩანს, რა უმძიმესი შეცდომა დაუშვა „ოცნებამ“ (შესაძლოა, მისთვის საბედისწეროც აღმოჩნდეს), როცა არ დაეთანხმა წინადადებას საარჩევნო ბარიერის 5%-დან — 3%-მდე დაწევის შესახებ. თავის მხრივ, სააკაშვილმაც ყველაფერი გააკეთა, პარლამენტში სერიოზულ ოპოზიციურ ძალად მხოლოდ მისი პარტია ყოფილიყო წარმოდგენილი. სხვა პარტიები კი - გაავებულ-გაბრაზებულნი - გარეთ დარჩენილიყვნენ. ამ მიზნით მიშამ სპეციალურად დააშინა „შუაშისტი“ ამომრჩეველი, თითქოსდა დაუყოვნებლივ დაბრუნებას აპირებდა და აიძულა იგი ოცნებისთვის მიეცა ხმა.**

**სხვა პარტიები გარეთ დარჩნენ და ბურჯანაძე, ნათელაშვილი, სხვები და სხვები ამის გამო მიშას ან „ნაცების“ პარტიას კი არა, „ოცნებას“ უპირისპირდებიან. ისევ და ისევ „რამე რომ იყოს“, ისინი ნებისმიერ რევოლუციას „გააპრავებენ“. თვით სააკაშვილსაც კი „გაუპრავებენ“, რაკი „ოცნებამ“ გარეთ დატოვა.**

პარლამენტში მათი ყოფნა ბევრს არაფერს შეცვლიდა ოცნებისთვის ხელისუფლების განხორციელების თვალსაზრისით, ვინაიდან საკმარისი უმრავლესობა მაინც ეყოლებოდა, სამაგიეროდ, პარლამენტში მყოფი ბურჯანაძე, პარლამენტში მყოფი ნათელაშვილი და სხვები „რევოლუციურ სცენარს“ არ მიიღებდნენ, რათა შევარდნაძის პარლამენტის ბედი არ გაეზიარებინათ.

ახლა კი, თუ, მაგალითად, იმავე ნინო ბურჯანაძის განცხადებებს გავითვალისწინებთ, ის ყველაფერზე ხელს მოაწერს და აბსოლუტურად ყველა სცენარში მიიღებს ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობას, რაკი დღეს ბიძინაზე უფროა გაბრაზებული, ვიდრე მიშაზე.

ეს უნდოდა „ოცნებას?“ და რად უნდოდა, თუკი ოხრად დარჩებათ ის საკონსტიტუციო უმრავლესობა?

* * *

ამ ხალხმა გულწრფელად ვერ გაიგო, რომ უმრავლესობა ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არათუ „ბევრს არაფერს“, არამედ საერთოდ არაფერს წყვეტს. გადამწყვეტია კონკრეტული რესურსების ოდენობა და ხარისხი.

როდესაც შენს მხარესაა თუნდაც მილიონ-ნახევარი ამომრჩეველი, ხოლო „რევოლუციონერთა“ მხარეს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“, ეს ტელევიზია ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რესურსია, ვიდრე უზარმაზარი ობივატელური მასა, რომელიც „ოცნებას“ ნამდვილად აძლევს ხმას მშვიდი ცხოვრების ნატვრით.

ტელევიზიით შესაძლებელია არა მილიონ-ნახევარი, არც ნახევარი მილიონი, მაგრამ 50 000 „გამკეთებელი“ პასიონარის მობილიზება და წამხდარი, დაჩმორებული, უკვე გაფუჭებული, ლარს გადაყოლილი ხელისუფლების დამხობა.

**გასაგებია, რომ ლარის დევალვაცია ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალი იყო და ამას ოპოზიცია აუცილებლად ნიჭიერად გამოიყენებდა ხელისუფლების გასაშავებლად, მაგრამ „ოცნებას“ უფრო პლურალისტური პარლამენტი რომ დაეშვა, რომელიც ამ თავდაჯერებული („აკი საკონსტიტუციო უმრავლესობა ვართ და...“) პერსონაჟებით არ იქნებოდა გამოტენილი, — ყველა დებატს რომ ათით-ნულს აგებენ „ენაგატლეკილებთან“, — დღეს სიტუაცია ბევრად მყარი იქნებოდა.**

რევოლუციურ ატმოსფეროს ამწიფებს სახელისუფლებო ფიგურათა გამაოგნებელი განცხადებებიც: დარწმუნებით შეიძლება ითქვას: ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს სვანეთში ნამდვილად შეხვდა მოხუცი ქალი, რომელმაც „ფულის ბღუჯა ამოიღო ჯიბიდან“. მაგრამ საქართველოში ამის თქმა როგორ შეიძლება? ხომ არ გაპატიებენ, ანეკდოტებისა და სატირულ თემად აქცევენ, ფეისბუქზე დაატრიალებენ, იშაყირებენ... სულ ათასპროცენტიანად მართალიც რომ იყოს, მთავარია არა ფაქტი, არამედ მისი ინტერპრეტაცია. თავისუფალი მედია და სოციალური ქსელი კი ინტერპრეტაციის ამოუწურავ შესაძლებლობას ქმნის.

* * *

არსებობს სულ რამდენიმე ოფცია, რათა ხელისუფლებამ თანდათან მომწიფებულ რევოლუციას თავი დააღწიოს: ნაციონალურ მოძრაობაში უნდა მოხდეს ისეთი ხმაურიანი და სკანდალური განხეთქილება, რომ ეს პარტია საერთოდ დაიშალოს, თან დიდი გნიასითა და ურთიერთლანძღვით; მეორე: მთავრობამ შეძლოს ლარის დასტაბილურება, ბიუჯეტის გამართვა — სამსახურებიდან ქუჩაში ხალხის გაყრის თავიდან აცილებით; „ოცნების“ სპიკერებმა მოულოდნელად გამოიჩინონ დებატების ფხა, მოუგონ PR-ომები მიშას გუნდს, კრეატიულად აამუშაონ ტელევიზიები და მოახერხონ არა მხოლოდ საქმის კეთება, არამედ გაკეთებულის აგრესიული „გაპიარება“.

მკითხველმა განსაჯოს, რამდენად შესაძლებელია ამ ოფციებიდან რომელიმე და თუ არაა შესაძლებელი, ისტორია კიდევ ერთხელ განმეორდება, ხოლო მიშა დაამტკიცებს, რომ შეუძლია „იმავე მდინარეში მეორედ შესვლა“.

ასეთი საზოგადოებრივი ისტერია კიდევ რამდენიმე კვირა თუ გაგრძელდა, ხელისუფლება ისევე „დაეცემა მიწაზე“, როგორც 2003 წელს, როცა მხოლოდ მისი „აღება“ იყო საჭირო, ხელის შემშლელი და წინააღმდეგობის გამწევი კი აღარავინ აღმოჩნდა.

**გიორგი ლეჟავა**

# „თბილისის სტრატეგიული დისკუსია“

**„ძალიან აქტუალურია ერთობლივი ქმედებები იმ ინფორმაციული შეტევების წინააღმდეგ, რომლებიც გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად ხორციელდება საქართველოს მიმართ“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „თბილისის სტრატეგიული დისკუსიის“ გახსნისას, რომელიც ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, დღეს პრეზიდენტის სასახლეში, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით და ეროვნული უშიშროების საბჭოს ორგანიზებით გაიმართა.




„თბილისის სტრატეგიული დისკუსიის“ მიზანია უსაფრთხოების სექტორის ფართო წრეების წარმომადგენლებს შესთავაზოს ინკლუზიური ფორმატი, რომელზეც პროფესიული განხილვების შედეგად გამოითქმება მოსაზრებები, გამოიკვეთება პრიორიტეტები და მომზადდება რეკომენდაციები ქვეყნის და რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკასთან მიმართებაში.

გიორგი მარგველაშვილმა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობაზე, საქართველოს არჩევანზე და საქართველოს გეოპოლიტიკურ როლზე ისაუბრა.

**„ქართველმა საზოგადოებამ ნათლად აირჩია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზა. ეს არის თავისუფალი ხალხის არჩევანი იცხოვროს თავისუფალ საზოგადოებაში და, ბუნებრივია, რომ ამ სურვილის ყველაზე ადეკვატური განხორციელება სწორედ ქვეყნის დემოკრატიული პოლიტიკური მოწყობაა და მისი ამ პროცესის მუდმივი გაღრმავება.**

**დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება და ჩვენი კულტურული ფესვები განაპირობებს იმას, რომ გეოპოლიტიკურად ჩვენი სახელმწიფო დაუკავშირდა ევროატლანტიკურ სივრცეს, ხოლო პოლიტიკური მისწრაფებები ნათლად ჩამოყალიბდა, როგორც მისწრაფება ევროკავშირისა და NATO-ს მიმართულებით.**

**ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია NATO-სთან თანამშრომლობაში, საერთაშორისო მისიებში მონაწილეობაში, ერთობლივ წვრთნაში და პარტნიორებთან ერთად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განუხრელ გაღრმავებაში გამოიხატება“.**

# საპარლამენტო დაპირისპირებაში ოპოზიციამ კაპიტულაცია გამოაცხადა და თავისი უსუსურობა აღიარა



**„ნაცმოძრაობის რეიტინგი შეადგენს 5%-ს. უნდა ითქვას, რომ ყველა პოლიტიკური ძალის რეიტინგი არის დაცემული, მაგრამ განსაკუთრებით ეს ცხადია ნაცმოძრაობის შემთხვევაში“, — აცხადებს სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე, რომლის შეფასებით, სულ რაღაც ერთი კვირის წინათ ჩატარებული კვლევით დასტურდება, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებულ განხეთქილებას პარტიის რეიტინგის მკვეთრი ვარდნა მოჰყვა.**

**ვალერიან გორგილაძე დღეს ჩვენი სტუმარია.**




**— ბოკერიასა და სააკაშვილის ჯგუფს შორის დაპირისპირება იმ კონდიციამდე მივიდა, თამარ ჩერგოლეიშვილის თქმით, რამდენიც უნდა ვიძახოთ, რომ ცოცხების კადრები დადგმულია, ვიცით, კარანტინში რაც ხდებოდაო.**

**როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები პარტიის შიგნით და რომელი ჯგუფი სარგებლობს მხარდაჭერით?**

— ცხადია, რომ უფრო მაღალი მხარდაჭერით სარგებლობს სააკაშვილი. მისი რეიტინგი აღემატება ბოკერიას რეიტინგს, მაგრამ დავით ბაქრაძის რეიტინგი აღემატება მიშა სააკაშვილის რეიტინგს, ვგულისხმობ ნდობის რეიტინგს მოსახლეობაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნაცმოძრობის წევრებში ბაქრაძის რეიტინგი აღემატება სააკაშვილის რეიტინგს. ამ თვალსაზრისით, თუკი ნაცმოძრაობის წევრებს შორის ჩატარდება შიდა გამოკითხვა, ბუნებრივია, მიშა სააკაშვილი იქნება უპირობო ლიდერი.

**— ლიდერი, რომელსაც პარტიის შიგნით მხარდამჭერების დომინანტური უმრავლესობა ჰყავს?**

— რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი ყრილობა მართლაც ჩატარდება, დემოკრატიულად, სრულად უნდა ასახავდეს ნაცმოძრაობის წევრებს შორის არსებულ განწყობებს და დამოკიდებულებებს სააკაშვილის მიმართ. ბოკერიას ჯგუფს მოუწევს პოზიციების დათმობა, ან პარტიის დატოვება და ალტერნატიული პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. ამ თვალსაზრისით ბოკერიას ჯგუფს შეიძლება უახლოეს პერიოდში არ ჰქონდეს მაღალი რეიტინგი და ელექტორალური მხარდაჭერა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბოკერიას ჯგუფს ეყოლება ფრაქცია პარლამენტში, ეყოლება ინტელექტუალური რესურსი, რომელიც აღემატება სააკაშვილის მხარდამჭერების ინტელექტუალურ რესურსებს.

**— ანუ ასეთ შემთხვევაში სააკაშვილის ფრთა ვერ შეძლებს კონკურენციის გაწევას?**

— რასაკვირველია, ვერც ტაქტიკის და ვერ სტრატეგიის თვალსაზრისით, ნაცმოძრაობა ვერ გაუწევს კონკურენციას ბოკერიას ჯგუფს. ასევე, ნაცმოძრაობას გაუძნელდება კონკურენციის გაწევა საერთაშორისო კავშირების თვალსაზრისით, ვინაიდან უნდა ითქვას, რომ დასავლური ელიტისთვის სააკაშვილის რეპუტაცია საკმაოდ მარგინალიზირებულია.

**— პოლიტიკური წონის შემცირება საქართველოს ფაქტორით არის გამოწვეული, თუ ამ შემთხვევაში უკრაინის ფაქტორმაც იქონია გავლენა?**

— ორივე ფაქტორის გამო. მისი რეიტინგის შემცირება განპირობებულია მისი სკანდალური რეპუტაციით — გაჩნდა დაღლილობა სააკაშვილის მიმართ. თუმცა, მისი პოლიტიკური გავლენა პირდაპირპროპორციულად გაიზრდება, ან შემცირდება იქიდან გამომდინარე, რა პოზიციებს დაიკავებს უკრაინაში.

**— მაგრამ სააკაშვილი ინარჩუნებს გარკვეულ ფინანსურ ბერკეტებს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია...**

— გასაგებია, მაგრამ გარკვეული ეჭვი მაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ მას შემდეგ, რაც ცალკე პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდება ბოკერიას ჯგუფი, მასაც ექნება ფინანსური რესურსი და ამ თვალსაზრისით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მნიშვნელოვნად შეამცირებს ნაცმოძრაობის რეიტინგულ მხარდაჭერას.

**— კვლევის შედეგებით რამდენია დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი?**

— დღეს ნაცმოძრაობის რეიტინგი შეადგეს 5%-ს. უნდა ითქვას, რომ ყველა პოლიტიკური ძალის რეიტინგი არის დაცემული, მაგრამ განსაკუთრებით ეს ცხადია ნაცმოძრაობის შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც ამ მოძრაობის დეფრაგმენტაცია მოხდება, კიდევ უფრო შემცირდება მისი მხარდაჭერა და ეს უცილობრივ აისახება ადგილობრივი არჩევნების შედეგებზე. ვფიქრობ, რომ ბოკერიას გუნდი ფორსირებულად შეუდგება ახალი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას საიმისოდ, რომ კონკურენცია გაუწიოს ნაცმოძრაობას.

**— ამ ეტაპზე სააკაშვილის გუნდი ლიდერობს, მაგრამ პარლამენტის სახით ტრიბუნა აქვს ბოკერიას ჯგუფს. ნაცმოძრაობის გაყოფის შემთხვევაში, სააკაშვილის ჯგუფს ექნება გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე, მით უფრო, რომ დღეს მისი რეიტინგი დაცემულია?**

— სააკაშვილის რეიტინგი დაცემულია საქართველოში მოსახლეობას შორის, მაგრამ პარტიის წევრებს შორის მისი რეიტინგი არის მაღალი. ამდენად, რა თქმა უნდა, მისი მხარდამჭერები 20 იანვრის ყრილობაზე დაამარცხებენ ბოკერიას მხარდამჭერთა ჯგუფს, ალბათ, პროპორციები იქნება ასეთი — 80-20-თან. ამდენად, ბოკერიას ჯგუფს მოუწევს იმ პირობების მიღება, რა პირობებსაც უკარნახებს სააკაშვილის ჯგუფი, ანუ სრული დამორჩილება და სხვა ინტერესების გათვალისწინება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბოკერიას ჯგუფი ამას არ მიიღებს.

**— ბოლო ორი კვირაა, აქტიური გახდა პირადი ცხოვრების კადრების თემა. როგორ ფიქრობთ, ამ დაპირისპირებაში შესაძლებელია ჩაერთოს კომპრომატების ფაქტორი?**

— ძალების დისკრედიტაცია შეიძლება მოხდეს როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის მიერ. მაგრამ ვფიქრობ, რომ მხარეები მაინც შეინარჩუნებენ გარკვეულ კორექტულობას, ვინაიდან ამ მოძრაობაში კომპრომატების ომი ორივე მხარეს ავნებს და ეს უნდა ესმოდეს ორივე მხარეს. დანარჩენი, გააჩნია რა ინტენსიურ ხასიათს მიიღებს კონფრონტაცია. თუ გამძაფრდება და ჩვენ ვხედავთ ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც პოლიტიკური ხელმძღვანელების მხრიდან პარტიის წევრთა მიმართებაში ადგილი აქვს შეურაცხყოფებს და ეს დაპირისპირება უკვე მძიმედ აისახა ნაცმოძრაობის რეიტინგზე და კიდევ უფრო მძიმედ აისახება.

**— ამ ვითარებაში საინტერესოა რომელი ფრთა მიიღებს დასავლეთის მხარდაჭერას?**

— ბოკერია-ბაქრაძეს ჯგუფი ბევრად უფრო რესპექტაბელურად გამოიყურება, ვიდრე სააკაშვილის მხარდამჭერები. განსაკუთრებით, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილის მხარდამჭერებში იგულისხმება ახალაიას მხარდამჭერებიც, ანუ ყველაზე ოდიოზური და დისკრედიტირებული სეგმენტი, რომელიც ასოცირდება ნაცმოძრაობასთან და ამ დანაშაულებებთან, კონცენტრირებულია სააკაშვილთან. ამდენად, გარდაუვალია კიდევ უფრო მკვეთრი მარგინალიზება ამ ჯგუფის არა მხოლოდ მოსახლეობის, არამედ ბოკერიას ჯგუფის მხრიდან.

მაგალითად, ჩვენ გავიგებთ როგორ უპირისპირდებოდა ბოკერია ახალაიას, ქარდავას და იმ სადიზმს, რომელსაც იცავდა სააკაშვილი. ეს დისტანცირება გამოიწვევს იმას, რომ ბოკერიას მხრიდან შეიძლება გამოქვეყნდეს მასალები, პირდაპირ თუ ირიბად გაკეთდეს განცხადებები, რომ შიგნით ყოველთვის არსებობდა დაპირისპირება ამ ძალოვნებსა და ინტელექტუალებს შორის, რომ სააკაშვილი თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში სიმპათიას ავლენდა ახალაიასა და ძალოვნების მიმართ. ამ თვალსაზრისითაც, ბევრად უფრო მიმზიდველი იქნება ურთიერთობა ბოკერიას ჯგუფთან, ვიდრე ნაცმოძრაობის ნარჩენებთნ, რომელიც ჩამოყალიბდება ყრილობის შემდეგ. ყველაზე ოდიოზური, აგრესიული ნაწილი კონცენტრირებული იქნება მიშა სააკაშვილის მხარდამჭერებში.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე პროცესები მხარდაჭერილია ხელისუფლების მიერ და მოქმედ გმირად ბიძინა ივანიშვილი სახელდება. პრინციპში, ყველა ხელისუფლებისთვის და პოლიტიკური პროცესებისთვის მნიშვნელოვანია კონსტრუქციული ოპოზიცია, თუმცა ცალკე საკითხია რამდენად იქნება ბოკერიას ჯგუფი კონსტრუქციული, მაგრამ ხელისუფლების ჩარევას ხედავთ ამ პროცესში?

— მოდით, ნუ დავაბრალებთ ბიძინა ივანიშვილს ამ პარტიების დაშლას და გუბაზ სანიკიძის გადასვლას ბურჯანაძესთან. მაშინ, ყველა ოპოზიციური პარტია აღიარებს ამ უზარმაზარ გავლენას, რომელიც გააჩნია ბიძინა ივანიშვილს. სასაცილოა, როდესაც პოლიტიკური ძალები საუბრობენ არაფორმალურ მმართველობაზე და მერე უეცრად იშლებიან. ვფიქრობ, რომ ეს საპარლამენტო არჩევნების პირდაპირი შედეგებია. ოპოზიციურმა პარტიებმა გამოაცხადეს კაპიტულაცია და ამ საპარლამენტო დაპირისპირებაში აღიარეს თავიანთი უსუსურობა, რესურსული შეზღუდვა და უნიათობა.

**— საინტერესოა სააკაშვილის განცხადება, რომ საქართველოში არჩევნების მოგება „თავისუფალ ზონასაც“ შეუძლია. როგორც ჩანს, ეს მოძრაობა იქნება სააკაშვილის ჯგუფის დასაყრდენი...**

— „თავისუფალი ზონისნაირი“ ორგანიზაციები ქმნიან სააკაშვილის ფონს. ეს მშვენივრად ესმის ბოკერიას და თამარ ჩერგოლეიშვილს, რომელიც არ უშვებს შემთხვევას და მიანიშნებს ამ მხარდამჭერების მარგინალურობაზე, როგორც არის „თავისუფალი ზონა“ და ისეთი მოღვაწეები, როგორებიც არიან ჩიორა თაქთაქიშვილი, ონიანი და ა.შ. მარგინალებსა და პირობით ინტელექტუალებს შორის გამიჯვნა ხდება. ვფიქრობ, რომ მომავალში 3-4-წლიანი პერსპექტივის თვალსაზრისით, ბოკერიას ჯგუფს ბევრად უფრო მიმზიდველი ელექტორალური პერსპექტივა ექნება, ვიდრე ნაცმოძრაობას, რომელსაც ამ გახლეჩის შედეგად, გრძელვადიან ან საშუალოვადიან პერსპექტივაში ემუქრება მკვეთრი მარგინალიზაცია.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

## ინყება „ხელედულა-3 ჰესის“ მშენებლობა

**ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ და „ანადოლუ ჯგუფის“ დამფუძნებელმა თულბან იზზეთ აქსოიმ „ხელედულა-3“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი. პროექტის განხორციელება იგეგმება საქართველოს მთავრობასთან 2015 წლის მაისში გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე.**

**გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, კომპანიას ეკისრება ვალდებულება გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილი ენერგოდეფიციტის პერიოდში (ძირითადად ზამთრის თვეები) რეალიზებული იქნეს ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნულის გათვალისწინებით პროექტის განხორციელება გარკვეულ წვლილს შეიტანს საქართველოს მიერ ენერგეტიკულ სექტორში გატარებული გრძელვადიანი პოლიტიკის ამოცანის გადაჭრაში, რაც გულისხმობს საკუთარი ჰიდრორესურსებით ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებას ეტაპობრივად: ჯერ იმპორტის, შემდეგ კი — თბოგენერაციის ჩანაცვლებით, ასევე ახლად აშენებული და არსებული ჰესების მიერ გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანას.**



**„ხელედულა-3“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხელედულაზე.**

**ჰესის დადგმული სიმძლავრეა 50.77 მგვტ.-ია, ხოლო პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 90 მლნ აშშ დოლარს უტოლდება. საპროექტო ჰესის ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება იქნება 250 კვტ/სთ.**

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

# პატარა უფლისწული

ზღაპარი
ავტორის ნახატებით

ფრანგული ტექსტი
ქართულად გადმოაენა
ზურამ გოგიაშვილმა




## XIII.

მეოთხე პლანეტა საქმიან კაცს ეკუთვნოდა. ის ისე დაკავებული იყო თავისი საქმით, რომ პატარა უფლისწულის გამოჩენისას თავიც კი არ აუწევია.

– მშვიდობა მისურვებია, – უთხრა პატარა უფლისწულმა, – სიგარეტი ჩაგქრობია.

– სამი და ორი ხუთია. ხუთი და შვიდი თორმეტია. თორმეტი და სამი თხუთმეტია, მშვიდობა მითქვამს. თხუთმეტი და შვიდი ოცდაორია. ოცდაორი და ექვსი ოცდარვაა. იმის დროც არა მაქვს, რომ ასანთი გავკრა. ოცდაექვსი და ხუთი ოცდათერთმეტია. უჰ! ჯამი სულ ხუთას ერთი მილიონ ექვსას ოცდაორი ათას შვიდას ოცდათერთმეტია.

– რა ხუთასი მილიონი?



– რაო? შენ კიდევ აქა ხარ? ხუთასი მილიონი... აზა, რა ვიცი, რა ხუთასი მილიონი... იმდენი სამუშაო მაქვს, საიდან რა დავიწყო, სულ ამერია. მე საქმიანი კაცი ვარ, სალაყბოდ სადა მცალია! ორი და ხუთი შვიდია...

– რა ხუთასი მილიონი! – გაიმეორა პატარა უფლისწულმა. აკი გითხარით, თუ რასმე იკითხავდა, მანამ ვერ ისვენებდა, სანამ პასუხს არ მიიღებდა.

საქმიანმა კაცმა თავი აიღო.

– უკვე ორმოცდათოთხმეტი წელიწადია ამ პლანეტის მკვიდრი ვარ, და მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ შემაშლევინეს ანგარიში. პირველად, ოცდაორი წლის წინათ, საიდანღაც შემომიფრინდა მაისის ხოჭო. საშინელი ხმაური ატეხა, და მაშინ ოთხი შეცდომა მომივიდა შეკრებისას. მეორედ, თერთმეტი წლის წინათ, რევმატიზმის შეტევა დამემართა. სულ ჯდომა რომ მიხდება, იმის გამო. გასასეირნებლად ერთი წუთიც არა მაქვს. მე საქმიანი კაცი ვარ. მესამედ კი... ესეც აქ არის! ამრიგად, მაშასადამე, ხუთასი მილიონი...

– რა ხუთასი მილიონი?

საქმიანი კაცი მიხვდა, რომ უნდა ეპასუხა, თორემ პატარა სტუმარი არ მოასვენებდა.

– ხუთასი მილიონი ის პაწაწინა კიკნაკიკნა რაღაცეზი, ხანისად ჰაერში რომ ჩანან.

– ბუზებზე ამზობ?

– არა, არა, ერთი ბეწონი არიან, ბრწყინავენ.

– ფუტკრეზი?

– არა, არც ფუტკრეზი. ისეთი პაწაწინეზი და ოქროსფერეზი არიან, რომელმა წელმოწყვეტილმა და ზარმაცმაც არ უნდა მოჰკრას თვალი, ეგრევე ოცნებას მიეცემა. მე საქმიანი კაცი ვარ, საოცნებოდ არა მცალია.

– ვარსკვლავებს გულისხმობ, არა?

– ჰო, მართალი ხარ, ვარსკვლავებს!

– ხუთასი მილიონი ვარსკვლავი? მერედა, რას უშვრები ხუთას მილიონ ვარსკვლავს?

– ხუთას ერთი მილიონ ექვსას ორი ათას შვიდას ოცდათერთმეტი. მე, როგორც საქმიან კაცს, სიზუსტე მიყვარს.

– მაინც რას უშვრები მაგდენ ვარსკვლავს?

– რას ვუშვრები?

– ჰო.

– არცრას არ ვუშვრები. ვფლობ.

– ვარსკვლავებს ფლობ?

– ჰო.

– მაგრამ მე უკვე ვნახე მეფე, რომელიც...

– მეფეები არცრას არ ფლობენ. ისინი მხოლოდ მეფობენ. ეგ სულ სხვა საქმეა.

– მაინც რა სარგებელს ნახულობ ვარსკვლავების ფლობაში? რისთვის გინდა?

– სიმდიდრისთვის.

– სიმდიდრე რაღად გინდა?

– რათა კიდევ ახალი ვარსკვლავები ვიყიდო, თუკი იმათ ვინმე აღმოაჩენს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №231-234

„თითქმის იმ ლოთ-მეზრუვესავით მსჯელობს“, – გაიფიქრა პატარა უფლისწულმა.

და ისევ განაგრძო შეკითხვები:

– არა, მაინც რანაირად ახერხებ ვარსკვლავების ფლობას?

– ვარსკვლავები ვისია? – წაუზუზღუნა საქმიანმა კაცმა.

– რა ვიცი. არავისი.

– მაშასადამე, ჩემია, იმიტომ რომ პირველად მე მომაფიქრდა იმათი ფლობის ამბავი.

– მერედა, ეგ საკმარისია?

– რასაკვირველია, საკმარისია. ალმასი თუ იპოვე, რომელსაც პატრონი არა ჰყავს, მაშასადამე, შენია. უპატრონო კუნძულს თუ მიაგენი, ისიც შენია. შენ თუ პირველს მოგივიდა თავში რამე იდეა, მიხვალ აიღებ პატენტს, და ის იდეა შენია. მე ვარსკვლავებს იმიტომ ვფლობ, რომ ჩემამდე ამათი ფლობა არცვის აზრადაც არ მოსვლია.

– ეგ მართალია, – თქვა პატარა უფლისწულმა, – მაგრამ რას უშვრები მაგდენს.

– რა უნდა ვუყო. ვაწესრიგებ. – მიუგო საქმიანმა კაცმა, – ვდგავარ და ვითვლი, ერთხელ რომ დავთვლი, მერე ისევ ხელახლა ვიწყებ თვლას. ეს ძალიან ძნელი საქმეა. მაგრამ მე საქმიანი კაცი ვარ.

პატარა უფლისწული არც ამ პასუხს არ დასჯერდა.

– მე თუ აბრეშუმის ყელსახვევი მაქვს, შემიძლია, ხელზე შემოხვევა და შინ წაღება, – თქვა მან. – თუ რამ ყვავილი მაქვს, შემიძლია, მოწყვეტა და თან ტარება. შენ კი, ვითომ ცას მიადგები და ჩამოკრეფ ვარსკვლავებს თუ რა?

– არა, ვერ ჩამოვკრეფ, მაგრამ, სამაგიეროდ, ბანკში ჩავდებ.

– ბანკში როგორ ჩადებ?

– ძალიანაც ლამაზად: ჯერ ქაღალდზე ჩამოვწერ, სულ რამდენი ვარსკვლავი მაქვს. მერე ამ ქაღალდს ყუთში ვდებ და გასაღებით ვკეტავ.

– სულ ეგ არის?

– ეს სავსებით საკმარისია.

„საგულისყუროა! – გაიფიქრა პატარა უფლისწულმა. – ცოტა არ იყოს პოეტურიც. მაგრამ არა მაინცდამაინც საქმიანი“.

რა საქმიანია და რა არასაქმიანი, – ეს პატარა უფლისწულს თავისებურად ესმოდა, სავსებით არა ისე, როგორც სრულწლოვანთ ესმით.

– მე ერთ კეკლუც ყვავილს ვახარებ, – თქვა მან. – და ყოველ დილით ვრწყავ, ვარწყულებ. მაქვს აგრეთვე სამი ვულკანი და ყოველ კვირას სამსავე ვასუფთავებ. ამ სამის გარდა, არც ჩამქრალს ვაკლებ ხელს. კაცმა არ იცის, რა შეიძლება რომ მოხდეს, ჩემი ვულკანებისთვისაც და ჩემი ყვავილისთვისაც სასარგებლოა, რომ ვფლობ, ვუვლი, ზრუნვას არ ვაკლებ. შენგან კი, აბა, რა სარგებელი აქვთ ვარსკვლავებს...

საქმიან კაცს ის იყო პირი უნდა დაეღო, მაგრამ პასუხი ვერა იპოვა რა, და პატარა უფლისწული ისევ თავის გზა-სავალს გაუყვა.

„არა, დიდები მართლა განსაცვიფრებელი ხალხია“, – გულუბრყვილოდ ფიქრობდა იგი მეხუთე პლანეტისკენ მიმავალი.

## XIV

მეხუთე პლანეტა მეტად თავშესაქცევი გამოდგა. გასართობად მისწრება იყო. თანაც წინა ოთხზე პატარა, პაწაწუნა, ზედ მარტო ერთი ფარანი და მეფარნე ეტეოდნენ. პატარა უფლისწული ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა საჭირო იყო ფარანი და მეფარნე ცაში მიკარგულ ერთ ციცქნა პლანეტუკაზე, სადაც არცრა სახლი არა ჩანდა, არც კიდევ ვინმე მცხოვრები. მაგრამ მაინც იფიქრა:

„იქნებ ეს კაცი აბდაუბდაგადასკუპდაც არის. მაგრამ არც ისეთი აბდაუბდაგადასკუპდა ჩანს, როგორიც მეფე, პატივმოყვარე, საქმიანი კაცი და ლოთ-მეზრუვე იყვნენ. ამის საქმეში რაღაც აზრია. როცა ეს თავის ფარანს ანთებს, თითქოს კიდევ ერთი ვარსკვლავი ანდა ყვავილი ჩნდება. ხოლო როცა ფარანს აქრობს, ვარსკვლავი თუ ყვავილი თითქოს იძინებენო. საამო საქმიანობაა. ნამდვილად სასარგებლოც არის, იმიტომ რომ უცხო სილამაზე თვალს სიამოვნებს“.

და პლანეტუკას რომ მიეახლოვა, მეფარნეს თავაზიანად დაუკრა თავი.

– დღე მშვიდობისა მისურვებია, – თქვა მან, – რატომ ჩააქრე მაინცდამაინც ახლა შენი ფარანი?

– დათქმული პირობაა, – უპასუხა მეფარნემ, – მეც დღე მშვიდობისა მისურვებია.

– ეგეთი რა დათქმული პირობაა?

– ის პირობაა, რომ ახლა უნდა ჩავაქრო ფარანი. საღამო მშვიდობისა.

და მან კვლავ აანთო ფარანი.

– ახლა ისევ რატომ აანთე?

– დათქმული პირობაა, – გაიმეორა მეფარნემ.

– ვერა გამიგია რა, – აღიარა პატარა უფლისწულმა.

– რა დიდი გაგება ამას უნდა, – თქვა მეფარნემ, – პირობა პირობაა. დღე მშვიდობისა მისურვებია.

და ჩააქრო ფარანი.

მერე დაჭადრაკებული ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და თქვა:

– საძნელო საქმის კაცი ვარ. ოდესღაც ჩემს საქმეს აზრი ჰქონდა. ფარანს დილაობით ვაქრობდი, საღამოობით კი ისევ ვანთებდი. მთელი დღე ჩემი იყო, ვისვენებდი, ღამეც ჩემი იყო, ვწვებოდი და ვიძინებდი...

– მერე პირობა შეიცვალა?

– არა, პირობა არ შეცვლილა, – თქვა მეფარნემ, – უბედურებაც ეგ არის! ჩემი პლანეტა, გინდა ცთომილი თქვი, რაც დრო გადის, სულ უფრო ჩქარა ბრუნავს, პირობა კი წინანდელი რჩება.

– მერე ახლა რასა შვრები? – დაეკითხა პატარა უფლისწული.

– რა უნდა ვქნა. პლანეტა სრულ ბრუნს ერთ წუთში ასრულებს. მე კი სულის მოსათქმელად წამი რა არის, წამიც არა მრჩება. ყოველ წუთს ვაქრობ ფარანს და ეგრევე ისევ ვანთებ.

– უკეთესი თვალის სეირი, ტყუილია. მაშასადამე, შენი დღე სულ ერთი წუთი გრძელდება!

– რა მეთვალსეირება, – იწყინა მეფარნემ, – მე და შენ უკვე მთელი ერთი თვეა, რაც ერთმანეთს ველაპარაკებით.

– მთელი ერთი თვეა?!

– კი, ბატონო. რა ოცდაათი წუთი და რა ოცდაათი დღე. საღამო მშვიდობისა.

და ისევ აანთო ფარანი. პატარა უფლისწული თვალს არ აშორებდა მეფარნეს და სულ უფრო მოსწონდა ეს კაცი, რომელიც თავისი სიტყვის ესოდენ ერთგული იყო. პატარა უფლისწულს წამოაგონდა, როგორ ახოხიალებდა სკამს აქეთ-იქით, რათა მეტად და მეტად დამტკბარიყო ჩამავალი მზის ცქერით. და მეგობრის დახმარება მოესურვილა.

– ყური დამიგდე, – უთხრა მან მეფარნეს. – მე ერთი რამ საშუალება ვიცი: დასვენება მაშინ შეგეძლება, როცა კი მოინდომებ...

– მე დასვენება სულ მინდა, – თქვა მეფარნემ.

ხომ შეიძლება რომ კაცი სიტყვის ერთგულიც იყოს და თანაც ზარმაციც, ხელგვიანი.

– შენი პლანეტა ისე ერთი ციცქნაა, – გაილექსა პატარა უფლისწული, – სამიოდე ნაბიჯით შეგიძლია გარშემოვლა. და ისეთი სისწრაფით უნდა იარო, რომ სულ მზის გულზე დარჩე. დასვენება რომ მოგინდება, შენ მაინც იარე, იარე, არ გაჩერდე. და დღეც იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენ ხანსაც შენ მოისურვებ...

– მაგით დიდ ხეირს ვერ ვნახავ, – თქვა მეფარნემ. – ყველაფერზე მეტად ამქვეყნად ძილი მიყვარს.



– მაშინ ვერა გქონია საქმე კარგად, – უთანაგრძნო პატარა უფლისწულმა.

– ვერა, ვერა, მაქვს საქმე კარგად, – დასტური დასცა მეფარნემ. – დღე მშვიდობისა.

„აი კაცი, – ჩაილაპარაკა გზას ადევნებულმა პატარა უფლისწულმა, – აი კაცი, რომელსაც ყველანი აბუჩად აიგდებდნენ – მეფეც, ამპარტავანიც, ლოთ-მეზრუვეც და საქმიანი კაციც. არადა, მართალი გითხრათ, ყველა იმათ შორის მხოლოდ ეს ერთი არ არის სასაცილო. ალბათ, იმიტომ, რომ ის მარტო თავის თავზე არა ფიქრობს“.

პატარა უფლისწულმა ამოიოხრა.

„აი ვის დავუმეგობრდებოდი, – გაიფიქრა მან, – მაგრამ მაგისი პლანეტუკა ნამეტანი კუკნაა, მანდ ორის ადგილი არ არის“.

მან ვერ გაბედა, ვერ გამოუტყდა თავის თავს, რომ კიდევ ერთი მიზეზის გამო სწყდებოდა გული პაწაწინა პლანეტაზე: ოცდაოთხ საათში აქ დაისის ცქერით ტკბობა ათას ოთხას ორმოცჯერ შეიძლებოდა!

## XV

მეექვსე პლანეტა წინაზე ათჯერ უფრო დიდი იყო. იქ ერთი ბერიკაცი ცხოვრობდა, რომელიც სქელ წიგნებს წერდა.

რა კარგია, რა კარგი მოგზაური მეწვია! – წამოიძახა ბერიკაცმა, როგორც კი პატარა უფლისწულს მოჰკრა თვალი.

პატარა უფლისწული მაგიდაზე ჩამოჯდა, რათა ცოტა სული მოეთქვა. არიარებზე სიარულისგან ფეხზე ძლივს იდგა.

– სადაური ხარ? – ჰკითხა ბერიკაცმა.

– რა არის ეგ მაგხელა წიგნი, – დაგულისყურდა პატარა უფლისწული, – აქ რას აკეთებთ?

– მე გეოგრაფი ვარ, – მიუგო ბერიკაცმა.



(გაგრძელება იქნება)

# სინათლის მოლოდინი

## გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების კრებულის განხილვა

**— იგი მოღვაწე პიროვნებაა, ამ სიტყვის სრულფასოვანი გაგებით — კაცი, რომელმაც გორის სასწავლო უნივერსიტეტს შეუნარჩუნა ტრადიციები და დღესდღეობითაც იქ არა მხოლოდ საგანმანათლებლო კერა, არამედ კულტურის ცენტრიც არის, რომელიც იქაურ თეატრთან ერთად განსაზღვრავს ამ პატარა ქალაქის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას, —- ასე გახსნა როსტომ ჩხეიძემ გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების კრებულის „გამორთული მთვარე“ განხილვა, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების — იმავე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ — თაოსნობით გაიმართა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.**

არაერთი წიგნის ავტორი, პროფესიით ისტორიკოსი - რომელიც არა მხოლოდ სხვის ნაკვლევსა და ნააზრევს ეყრდნობა, არამედ თვითონაც დიდი რუდუნებით მუშაობს არქივებში და უამრავი ახალი მასალა გამოავლინა და შემოიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში — წარმოდგენას გვიქმნის დიდი ლიახვის მხარეზეც, მის ისტორიასა და დღევანდელობაზე და იმ საგულისხმო მოვლენებზე, საკუთარი კვალი რომ დააჩნია იქაურობასაც და საერთოდ, ქვეყანასაც. ამ რიგში მნიშვნელოვანი ხაზია მისი მოთხრობები, რომელთაც არ სჭირდება შეღავათი მხოლოდ იმიტომ, რომ ისტორიკოსის შექმნილია, და ვერც უბრალოდ შემოქმედი კაცის ბიოგრაფიის ერთ-ერთ შტრიხად მიიჩნევ.



ბატონი როსტომის თქმით, გიორგი სოსიაშვილს გამოკვლევებიც რომ არ დაეწერა და მარტო პროზაიკოსობას დასჯერებოდა, თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრება გვერდს ვერ აუვლიდა მის მოთხრობებს, ეს ციკლი მოდერნისტულ რომანადაც რომ წარმოგვიდგება. და როცა დრო რიგიანსა და ურიგოს გადაარჩევს და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაც დაიმკვიდრებს საკუთარ ნიშას ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ყოფაში, მანამდე კი ის დროა, მკითხველმა საზოგადოებამ სათანადოდ შეაფასოს მისი თხზულებანი და თანამედროვე სამწერლო პროცესებში მიუჩინოს ადგილი; მიუჩინოს როგორც მწერალსაც, რომელმაც თავისი შემოქმედებით დაამტკიცა, რომ დღესდღეობით ლიტერატურაში მოძალებული ტენდენციები — უხამსობა იქნება ეს თუ სხვადასხვა ხელოვნური, ხშირად უბრალოდ მოდური გატაცებანი — ჩვეულებრივი სიყალბეა, დრომ რომ მოიტანა და დროსვე გადაჰყვება, ნამდვილ პროზას კი თავისი გზასავალი აქვს, ათასწლეულების სიმტკიცით რომ მოუყვება და რჩება ლიტერატურის ისტორიას. ამის დასტურია გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაც, რომლისთვისაც უცხო არ არის მოდერნისტული თუ პოსტმოდერნისტული ხერხები, საჭიროებისას ოსტატურადაც რომ იყენებს ავტორი, თუმცა კი მთავარი მისთვის მაინც ხასიათებია, კიდევ - სიუჟეტი და ძალიან ნოყიერი ქართული ენა, ნოყიერსავე ნიადაგზე აღმოცენებული, იმ გარემოდან და სინამდვილიდან ამონათებული, დღევანდელი სალიტერატურო ენის განმსაზღვრელად რომ მივიჩნევთ. ამას გარდა, გიორგი სოსიაშვილმა გულდასმით შეისწავლა არაერთი ლექსიკონიც, ცოცხალ მეტყველებაში შემორჩენილი თუ მივიწყებული სიტყვები, და მეტად მრავალფეროვანი ენობრივი წიაღიც გახსნა მკითხველისათვის.

„გამორთული მთვარე“ შეხვედრაზე ვრცლად მომხსენებელმა **ნინო ვახანიამ** მიმოიხილა და აღნიშნა:

„ქართლის იმ სოფლების უმრავლესობაში, რომლებშიც ხდება ამ წიგნში მოქმედება, მე, სამწუხაროდ, არასოდეს ვყოფილვარ. თუმცა მაინც მიყვარდა მაჩაბლების საუფლო, ისედაც მიყვარდა ვარიანი, ყელქცეული, ღვარები, მერეთი, ოძისი... გასაგებიცაა. ყველა ეს სოფელი იქ დაბადებულ თუ მოღვაწე ადამიანთან მაქვს გაიგივებული. ამ წიგნმა კიდევ რამდენიმე სოფელი გამაცნო ახლოს და შემაყვარა. მათ შორის დიცი, ავტორის მშობლიური სოფელი; შინდისი, სადაც დაღუპული ჩვიდმეტი ახალგაზრდის სახსოვრად ჩვიდმეტი მუჭა მიწა ყრია და სხვა. არ ვიცი, ამ ჩემს სიყვარულს, სრულყოფილ განცდამდე, იქნებ, რაღაც აკლია კიდეც, მაგრამ, უდავოა, ბატონმა გიორგიმ მოახერხა, საზღვრისპირა, და საერთოდ, ქართლის ნაომარი სოფლების ყოფა ისე გულწრფელად, რეალისტურად, ხელშესახებად დაეხატა, რომ ქართლის სიყვარული ვერ გამერჩია ჩემი საკუთარის, აფხაზეთის სიყვარულისაგან...

გიორგი სოსიაშვილის „გამორთული მთვარე“ გულწრფელი, მართალი, ტკივილებით ნასაზრდოები და გაჯერებული წიგნია. მწერალს საკუთარი განცდები და ღრმად გააზრებული ამბები აქვს გადმოცემული და მკითხველსაც თანაგანმცდელად, თანამოაზრედ აქცევს ძალდაუტანებლად. ეს წიგნი დაწერილია ზემგრძნობიარე ფსიქიკური წყობის ადამიანის მიერ და ძალიან დიდი, განუზომელი ტკივილის მიუხედავად, მასში იმედი და სინათლის მოლოდინი აშკარაა.




„გამორთულ მთვარეს“ განადგურებული სიცოცხლის, შეწყვეტილი სიმღერის, წართმეული სამშობლოს სიმბოლოდ აღიქვამს მკითხველი, კრებულის წაკითხვის შემდეგ კი დაიბეჯითებს, რომ რადგან ბოროტებას არსი არა აქვს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დადგება დრო, როცა თამამად გავიმეორებთ:

„ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“.

შეხვედრაზე ითქვა ისიც, რომ მოთხრობების ეს ციკლი აგვისტოს ომს ეძღვნება და ხელშესახებად ასახავს იმ ტრაგედიას, ბატონმა გიორგიმ საკუთარ მხრებზე რომ გადაიტანა. იგი ახლაც შეჰყურებს თავის სოფელზე — დიცზე — გადაჭიმულ მავთულხლართებს, შეჰყურებს საკუთარ სამკვიდროზევე დარჩენილი, მამაპაპური კერა გასაციებლად რომ ვერ გაიმეტა და შვილებიც იქვე ილებენ განათლებას, რათა მშობლიური სოფელი დაცარიელებელი არ ენახა. იგი ამ მხრივაც ნიმუშად წარმოგვიდგება, იმ ზნეობრივ გმირად, რომლის შემოქმედებაც ისეთივე სანდოა, როგორიც მისი სულიერი ღირებულებანი, ეროვნული სულისკვეთებით ნასაზრდოები.

**ამ და სხვა საკითხების შესახებ შეხვედრაზე არაერთმა გამომსვლელმა ისაუბრა და საგულისხმოდაც წარმოაჩინეს გიორგი სოსიაშვილის პიროვნული პორტრეტიც და მისი შემოქმედებითი მრწამსიც. მათ შორის იყვნენ მწერლები და მეცნიერები: ნანა კუციაა, მარინა ტურავა, იოსებ ჭუმბურიძე, მანანა გაბაშვილი, მარინე გიგაშვილი, თამარ გელიტაშვილი** და **გიორგი ხორბალაძე.**

**„მედიანიუსი“**

---

**⊙ როცა კალამი დიპლომატობს**

# მართლაც „გულის სახსოვარი “



**სვეტლანა ქეცბას სახელი კარგად არის ცნობილი თანამედროვე ქართული და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მუსიკოსთათვის თავისი კვლევებით, პუბლიკაციებით, როგორც აფხაზური, ისე ზოგადად ქართული და საბჭოთა მუსიკის მემატიანე.**

„მუსიკოლოგიურ პრობლემებზე მუშაობასთან ერთად, იგი მუდმივად ილვწოდა და დღესაც ილვწის საზოგადოებრივ სარბიელზე, როგორც სოხუმის სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის დირექტორი, აფხაზეთის კულტურის მინისტრი და კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე — უკვე თბილისში, და ბოლოს, „სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე“ — ვკითხულობთ ქალბატონი სვეტლანას კალმით შექმნილი ორენოვანი — ქართულ-რუსული სამაგიდო წიგნის, მართლაც „გულის სახსოვარის“ — აფხაზურ-ქართული ურთიერთობების რედაქტორის მანანა კორძაიას წინათქმაში (შემდგენელი ლია სეხნიაშვილი, რედაქტორ-კორექტორი ციცინო ჯულუხიძე, დიზაინერი ბესიკ დანელია).




კრებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ჯგუფ „კონკორდის“ ხელმძღვანელ გიორგი ფარულავას თანადგომით გამოიცა.

საკმარისია, რუდუნებით აკინძულ წერილებს, ჩანაწერებსა და მოგონებებს გაეცნოთ, რომ ირწმუნებთ — სწორედ ქალბატონი სვეტლანას მასშტაბის მოაზროვნე მამულიშვილთა ძალისხმევით აღდგება მოძმე ხალხებს შორის ჩატეხილი ხიდი, შეხორცდება ღრმა იარა და წერტილი დაესმება საკუთარ სამშობლოში დევნილობას. „გულის სახსოვარში“ ყველაფერია თავმოყრილი: ფიქრები თანხმობასა და მშვიდობაზე, თვისტომთა სახელით, ეროვნული უმცირესობის კულტურა — პრობლემები და ამოცანები, აფხაზთა და ქართველთა ძმობის სიმბოლო, სულიერ კავშირთა მარადიულობა, მიმართვა უწმინდესს...

განსაკუთრებულად გვესახება იმ სტრიქონების მნიშვნელობის ხაზგასმა, რომლებიც სასიქადულო ერისკაცთა ნამოღვაწარს ეძღვნება.

გმადლობთ, ქალბატონო სვეტლანა, გულისთქმის გაზიარებისთვის.

**გიორგი შოთაძე**

---

# ღვინო კახურო-ო!..

**ყურძნის წვენის დუღილის შედეგად მიღებულ ალკოჰოლიან სასმელს ღვინო ეწოდება და ეს ჭეშმარიტება თითოეულმა ჩვენგანმა ბავშვობიდანვე ძალიან კარგად იცის. ქართველებისთვის არც ისაა ახალი ამბავი, რომ კენკრის, ხილის, ბოსტნეულის, ბალახეულისა და მარცვლეულის ალკოჰოლიანი სასმელები „ღვინის“ კატეგორიაში არამც და არამც არ „გადიან“.**

მშრალი შავი ღვინოები, მათში ანტიოქსიდანტ რესვერატროლის დიდი შემცველობის გამო, აძლიერებენ იმუნიტეტს, აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას, ელასტიურობას ჰმატებენ სისხლძარღვებს, ამცირებენ სისხლში ცუდი ქოლესტერინის შემცველობას. ასევე თრგუნავენ ჭლექის, ქოლერისა და მალარიის გამომწვევ ბაქტერიებს.

თეთრი ღვინოების სმა არ შეიძლება შარდის ბუშტში კენჭების არსებობისას, ასევე ნეფრიტის, ცისტიტის, პროსტატიტის დროს, მშრალი ღვინოებისა კი — საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა არსებობის შემთხვევაში.

მშრალი ღვინის სტანდარტული ბოკალი 110 კალორიას შეიცავს. საერთოდაც, რაც უფრო ტკბილია ღვინო, მით უფრო მაღალია მისი კალორიულობა. ღვინოები, როგორც წესი, 40-70 წელზე მეტს არ „ცოცხლობენ“, თუმცა კი საკოლექციო დასპირტულმა ღვინომ შეიძლება საუკუნეზე მეტ ხანსაც გაძლოს. ნატურალური მშრალი ღვინის სიმაგრე, ჩვეულებრივ, 9-13 პროცენტია, შაქრის შემცველობა კი ლიტრში 3 გრამია.



წითელ ღვინოს მოხმარებამდე 30-40 წუთით ადრე ხსნიან რათა მას ჟანგბადით გაჯერების საშუალება მისცენ. თეთრ ღვინოს კი უშუალოდ მოხმარების წინ ხსნიან. ჩამოსხმიდან მე-6-მე-8 წელს ღვინიან ბოთლებში ნალექი ჩნდება, თუმცა გემოს ის არ უცვლის. ღვინის ჯიშების უმრავლესობა გოგირდის დიოქსიდს შეიცავს. ეს ნივთიერება უსაფრთხო ანტისეპტიკია, იგი თრგუნავს სხვადასხვა მიკროორგანიზმის განვითარებას, რომლებსაც ღვინის ამჟავება შეუძლია.

სუფრაზე მოტანილი ტანინიანი შავი ღვინო 18-20 გრადუსამდე უნდა იყოს გამთბარი; მსუბუქი წითელი ღვინის ტემპერატურა 14-16 გრადუსი უნდა იყოს; მსუბუქი თეთრი ღვინისა — 12-14 გრადუსი, შამპანურის 6-7 გრადუსზე მეტად გაციება კი არ ღირს.

ბოლოს კი იმის თქმა შეიძლება, რომ ღვინის ჭარბად მოხმარებას ალკოჰოლური დამოკიდებულების გამოწვევა შეუძლია.

გაგიმარჯოთ!

**ნინო ალექსანდრია**

# 2017-ში ევროპა დიდ ცვლილებებს გეგმავს,

## ამერიკასა და ჩინეთს შორის კი ეკონომიკური ომი გამძაფრდება!



**ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, მსოფლიოს წამყვანი ანალიტიკური გამოცემები უახლოესი მომავლის განჭვრეტასა და უფრო შორეულის პერსპექტივების კონტურების მოხაზვას ცდილობენ. ერთი ასეთი საგულისხმო პროგნოზი ცნობილი ბრიტანული გამოცემის „ბლუმბერგის“ დაახლოებით 150-მა ექსპერტებმა, მათ შორის ანალიტიკოსმა და ეკონომისტმა გამოთქვა, რომლებმაც 2017 წელს მსოფლიოს წინაშე წარმოშობილი შესაძლო საფრთხეები განიხილეს. მათი აზრით, ყველაზე აქტუალურია ევროპაში სავარაუდო ცვლილებები, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის მოსალოდნელი ეკონომიკური ომი.**

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის სახელმწიფო მოღვაწეობის პრაქტიკის მწვავე დეფიციტისა და საერთაშორისო დიპლომატიიის საკითხებში ნაკლებად გარკვევის გამო, უახლოეს ხანებში მსოფლიოში უაღრესად მნიშვნელოვანი ძვრებია მოსალოდნელი. ამის უმთავრესი შედეგი კი შესაძლოა, ის გახდეს, რომ ამერიკამ მსოფლიოს №1 სახელმწიფოს სტატუსი რეალურად დაკარგოს და ასპარეზი რუსეთსა და ჩინეთს დაუთმოს. ძალთა ასეთი გადანაწილების შედეგად პოზიციებს გაიმაგრებს ისლამური სახელმწიფო, მოსალოდნელია, რომ საუდის არაბეთმა და იაპონიამ თავიანთი ბირთვული პროგრამები განავითარონ, ჩრდილოეთ კორეა კი უფრო მეტად საშიში გახდეს.

ამასთან დონალდ ტრამპის პოლიტიკამ შესაძლოა, რესპუბლიკური პარტიის მოწინააღმდეგეთა მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვიოს. ამიტომ ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად პრეზიდენტი შეიძლება იძულებული გახდეს, ზოგიერთ დიდ ქალაქში ეროვნული გვარდიის დანაყოფები შეიყვანოს, ქვეყანა, ფაქტობრივად, ორ ბანაკად დაიყოს, ხოლო ოპოზიციის ცენტრად კი კალიფორნია იქცეს.

კიდევ ერთი დიდი პრობლემა შეიძლება გახდეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან კრიმინალური წარსულის მქონე, ასევე არალეგალურ მიგრანტ მექსიკელთა გაძევება, ამ ქვეყნის მიმართ გარკვეული საფინანსო სანქციების გატარება. ამის შედეგად მექსიკის ეკონომიკა დაინგრევა, ხელისუფლების სათავეში ამერიკის შეერთებული შტატებისადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკოსები მოვლენ, ქვეყანაში კი ნარკობიზნესი აღზევდება.

ექსპერტთა აზრით, თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის ოფიციალურად დაკავების შემდეგ დონალდ ტრამპი ამჟამად მოქმედი პრეზიდენტის ბარაკ ობამას კურსის საპირისპიროდ, კუბასთან დაახლოებას დაიწყებს. კუბისა და რუსეთის ურთიერთობათა განმტკიცების პირობებში კი ამას ამერიკა-რუსეთს შორის ძალიან მძაფრი დაძაბულობა მოჰყვება.

ასევე დიდი საფრთხის შემცველია დონალდ ტრამპის მიერ ჩინეთის მისამართით გამოთქმული ბრალდებები, რომელთა საპასუხოდ პეკინი ეროვნული ვალუტის — იუანის დევალვაციას მოახდენს, ამერიკული ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვან მრავალმილიარდიან „ბოინგების“ აგების დაკვეთას გააუქმებს და აიფონების გაყიდვებს დაბლოკავს, რაც მათ უაღრესად გააძვირებს. თუმცა კი ყოველივე ამის შედეგად, თავად ჩინეთი მძიმე რეცესიაში აღმოჩნდება, რაც შესაძლოა, უმძაფრესი კრიზისის მიზეზი გახდეს.

ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შედეგები ძველი კონტინენტის ერთიანი მომავლისთვის ჯერჯერობით საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა კი ამჯერაც ბოლომდე დაუსრულებელი „გაყრის“ შემდგომ მთელ რიგ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში, საფრანგეთში, საბერძნეთსა და პოლონეთში პოპულისტ პოლიტიკოსებს ხელისუფლების სათავეში მოსვლის შანსები გაცილებით გაეზარდათ.

ანალიტიკოსები შიშობენ, რომ გაისად ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსეთისა და ჩინეთის მიერ მოწყობილ ჰაკერული თავდასხმების მთელი სერია განხორციელდება, რომელთა მთავარი სამიზნე უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული ობიექტები იქნებიან.

ასევე დიდი შეშფოთების მიზეზია საუდის არაბეთის ხელისუფლების ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციის წარუმატებელი მოქმედებები და უპირატესობის მისი დიდი ხნის მტრის ირანის მხარეს გადასვლა. ამ ორ უდიდეს ნავთობმომპოვებელ ქვეყანას შორის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად კი მსოფლიო ნავთობის ბაზარზე კრიზისი წარმოიშვება.

„ბლუმბერგის“ ექსპერტთა პროგნოზით, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის მსოფლიო არენაზე შესუსტებას, ბუნებრივია, ევროპაში ძალთა საერთო კონფიგურაციის შეცვლა მოჰყვება, რუსეთის რეალური გავლენა კი მოიმატებს.

**დალი ხუნდაძე**

**◉ აზერბაიჯანული პრესა**

# საქართველოს ნატოში გაწევრება კავკასიაში ალიანსისა და რუსეთის დაპირისპირების ცხელ წერტილს უზრუნველყოფს



**„ის, რომ საქართველო მოუთმენლად ელოდება ევროკავშირთან უვიზო რეჟიმს, არასოდეს საიდუმლო არ ყოფილა, იგივე დამოკიდებულება აქვს თბილისს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების მიმართაც. თუმცა უვიზო რეჟიმის მიცემა ჭიანურდებოდა იმის გამო, რომ ევროკავშირს მისი შეჩერების მექანიზმის შემუშავება სურდა, ანუ საჭიროების შემთხვევაში უკვე დაწესებული ვიზალიბერაზაციის შეჩერების მიზნით“ ნათქვამია აზერბაიჯანულ გამოცემა „Каспiй“-ს მიერ ალი საიდოვის ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში, რომლის რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:**

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ შეჩერების მექანიზმი უკვე შეთანხმებულია და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების საბჭომ დოკუმენტი უკვე მიიღო. პროცესი საბოლოოდ ევროპარლამენტში და ევროსაბჭოში განხილვა-დამტკიცებით უნდა დასრულდეს. მოკლედ, საქართველო, ისევე როგორც უკრაინა, მღელვარე მოლოდინის რეჟიმშია.

საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გერმანული გაზეთ „ცეიტ“-ისადმი („დრო“) მიცემულ ინტერვიუში საკმაოდ ზოგადად და ბუნდოვნადაც კი ახსნა ის, თუ რატომ, რა მიზეზებით სურს საქართველოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრება. პირველ რიგში, მან ხაზი გაუსვა, აშშ-ის ხელისუფლებაში დონალდ ტრამპის მოსვლა არ გამოიწვევს საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების სერიოზულ სტრატეგიულ ცვლილებებსო, თან იმასაც ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მხარს უჭერს აშშ-ის სენატი და საერთოდ, კონგრესი, რომლებთაც ადრეც არაერთხელ გამოუხატავთ თანადგომა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნების საკითხში. **„თბილისს არავითარი ეჭვები არა აქვს ნატოში გაწევრებასთან მიმართებით. ჩვენ ალიანსს არსებით მხარდაჭერას ვუწევთ. ჩვენი გადაწყვეტილება შეუქცევადია და გვსურს, მაქსიმალურად მივუახლოვდეთ როგორც ნატოში, ისე ევროკავშირში გაწევრებას“,** — აღნიშნა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა და დაამატა, რომ „დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია რეგიონში რუსეთის ამბიციების შესაკავებლად“. თუმცა მან იქვე ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების სურვილი რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული: „ჩვენ დაუღალავად ვიმეორებთ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრება არ ისახავს მიზნად რუსეთისთვის დამუქრებას. ჩვენ გვსურს, რუსეთთან ვითანამშრომლოთ და ვერ ვხედავთ ვერავითარ წინააღმდეგობას, ამავდროულად, დასავლეთისკენ გზაზე სვლა რომ განვაგრძოთ“.

ობიექტურად თუ ვიტყვით, ამ შემთხვევაში გიორგი კვირიკაშვილი ცოტა ეშმაკობს, რადგან საქართველო თუ ნატოს წევრი გახდება, თბილისი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წესდებას დაემორჩილება. ხოლო ის, რომ ნატოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რუსეთის არა მარტო შეჩერება, არამედ მასთან წინააღმდეგობა ითვლება, ეს ყველასათვის დიდი ხანია, ცნობილია. ასე რომ, ნატოს შემადგენლობაში საქართველო იძულებული იქნება, ის გააკეთოს, რასაც ბალტიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები აკეთებენ. შესაბამისად, ისიც ვიცით, რომ ბალტიისპირელების საპასუხოდ რუსეთი უახლეს სარაკეტო კომპლექსებს კალინინგრადში ანთავსებს. საქართველოს ნატოში გაწევრების შემთხვევაში ალიანსისა და რუსეთის დაპირისპირებით ცხელი წერტილი (კავკასიის რეგიონში) უზრუნველყოფილი იქნება.

პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი დაჟინებით აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მხოლოდ პოლიტიკურ სფეროშია გაუარესებული, ეკონომიკურში კი ყველაფერი კარგად არის. ამის დამადასტურებლად იგი იმოწმებს საქართველოში რუსი ტურისტების მოზღვავებას — ისინი მილიონით ჩამოდიან საქართველოში და ერთი სერიოზული ინციდენტიც კი არ მომხდარაო. **„ქართველებსა და რუსებს შორის არ არსებობს რაიმე ფუნდამენტური მტრობა და ჩვენი სურვილი ნატოს წევრობასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს ამ მიმართულებით ინტერპრეტირებული. სწორედ ამ გზავნილის მიწოდებას ვცდილობთ ჩვენ რუსი პოლიტიკოსებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ამას სათანადოდ არ აღიქვამენ“.**

სხვათა შორის, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ამას წინათ ზუსტად განმარტა, თუ რაში გამოიხატება საფრთხე ნატოს გაფართოებაში რუსეთისათვის: **„ჩვენ გვაწუხებს გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა. როცა ქვეყანა ნატოს წევრი ხდება, მისთვის უკვე ძნელია, წინააღმდეგობა გაუწიოს ისეთი ძლიერი ქვეყნის გავლენასა და ზეწოლას, როგორიც შეერთებული შტატებია. შესაბამისად, ნატოში გაწევრებული ქვეყნის ტერიტორიაზე ადვილად გაჩნდება ყველაფერი, რასაც აშშ მოისურვებს - რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, სამხედრო ბაზები და თუ საჭირო გახდება, შემტევითი კომპლექსები... რუსეთიც იძულებული ხდება, კონტრზომები მიიღოს“.**

ერთი სიტყვით, საქართველოს ნატოში გაწევრება კიდევ უფრო მეტად გააუარესებს მის ისედაც რთულ და დაძაბულ დამოკიდებულებას რუსეთთან. ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ აზერბაიჯანს ნატოსთან თანამშრომლობის დროს ალიანსში გაწევრების აზრიც კი არ მოსდის, ასეთ მიზანს გულშიც კი არ ივლებს. ჩვენ არ გვაწყობს ჩვენს ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო კონტინგენტის განლაგება, რომელიც არა მარტო მოწინააღმდეგის სამიზნე იქნება, არამედ სამხედრო სკანდალის ცენტრშიც აღმოჩნდება.

## ევროპარლამენტმა ვიზა-ლიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმს მხარი დაუჭირა

**საკანონმდებლო ინიციატივას 638-დან ევროპარლამენტის 485 წევრმა დაუჭირა მხარი, 132 წინააღმდეგი იყო, 21-მა კი თავი შეიკავა.** შეჩერების მექანიზმზე კომპრომისულ შეთანხმებას ევროკავშირის საბჭომ და ევროპარლამენტმა 7 დეკემბერს მიაღწიეს. განახლებული რეგულაციის მთავარი მიზანია უკვე არსებული შეჩერების მექანიზმის გაძლიერება.

## პუტინი ტოკიოში ჩავიდა



**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ოფიციალური ორდღიანი ვიზიტით იაპონიაში ჩავიდა. კრემლის პრეს-სამსახურის ცნობით, რუსეთის ლიდერი ქალაქ ნაგატოში იაპონიის პრემიერს სინძო აბეს შეხვდა.** შეხვედრაზე მთავარი განსახილველი თემა კურილიის კუნძულებთან დაკავშირებული ტერიტორიული დავა იყო. 6 მაისს სოჭში გამართული ორმხრივი შეხვედრის შემდეგ იაპონიის პრემიერმა განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინს პრობლემის დასარეგულირებლად ახალი მიდგომა შესთავაზა. მოგვიანებით ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის იაპონიასთან დიალოგისთვის, თუმცა ტერიტორიების გაყიდვას არ აპირებს.

## ეიფელის კოშკი ჩააბნელეს



**ალეპოს მოსახლეობის მიმართ სოლიდარობის ნიშნად პარიზში ეიფელის კოშკის განათება ჩააქრეს. „სიმბოლური ჟესტის მიზანია, კიდევ ერთხელ შევახსენოთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ სასწრაფო მოქმედებაა საჭირო“,** - განაცხადა საფრანგეთის დედაქალაქის მერმა ან იდალგომ. პარალელურად, პარიზში ალეპოს მოსახლეობის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. დედაქალაქის მოსახლეობამ ასადის რეჟიმის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და ძალადობა დაგმეს.

# ფოთის პორტი გაჩერდა – წინასაახალწლოდ პროდუქცია გაძვირდება




**ფოთის საზღვაო ნავსადგურის შესასვლელი არხი უბრალოდ დაიკეტა, რადგან წყლის სიღრმემ არხში საგრძნობლად იკლო. როგორც წესი, სანავიგაციოდ გამოსადეგი რომ იყოს, არხში წყლის სიღრმე მინიმუმ 11 მეტრს უნდა შეადგენდეს. ამჟამად ნავსადგურის შესასვლელი არხის სიღრმე 5 მეტრს არ აღემატება. არხის ამოვსება შტორმის შედეგად ზღვის ფსკერიდან დიდი რაოდენობით შემოტანილმა ქვიშამ, ღორღმა და ბუნებრივმა ნარჩენებმა გამოიწვია.**

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელის მამუკა ახალაძის განცხადებით, ფოთის პორტის მმართველი კომპანია APM ტერმინალის შესასვლელი არხის ინტენსიურ გაწმენდით სამუშაოებს ატარებს და შექმნილი ვითარება კვირის ბოლომდე უნდა მოგვარდეს. მანამდე კი გემები ბათუმის ნავსადგურში მისამართდება. როგორც ჩანს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო თავს იიმედებს, რამდენადაც, საქმე ის არის, რომ ბათუმის ერთადერთი საკონტეინერო ნავმისადგომს (ერთადერთ ტერმინალს) უბრალოდ შესაძლებლობა არა აქვს, მიიღოს და დაამუშავოს იმ რაოდენობის ტვირთები, რაც ამჟამად ფოთში რეიდზეა თავმოყრილი. ფაქტია, სადღეისოდ, ფოთის ნავმისადგომი საკონტეინერო ტვირთების დამუშავების თვალსაზრისით უალტერნატივოა. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფოთში საკონტეინერო ტვირთების დამუშავება პორტსგარეთ არსებული 16 საკონტეინერო ტერმინალის მეშვეობით ხდება. შესაბამისად, სამწუხაროდ, ბათუმში ტვირთების გადამისამართება დღეს არსებულ პრობლემას ვერ ხსნის.

ახლა ყველაზე მთავარი და სამწუხარო – APM ტერმინალმა პორტის ბენეფიციარებს (სატერმინალო მომსახურების კომპანიები, ექსპორტიორები, გემთმფლობელები და სხვა) 13 დეკემბერს დაგზავნილი წერილით, რომელსაც ხელს პორტის ოპერაციების უფროსი მენეჯერი რექს განდლი აწერს, აუწყა, რომ არხის 7 მეტრამდე მაინც გასაღრმავებლად, მინიმუმ 70 000 კუბური მეტრი ქვიშა-ღორღის ამოღებაა საჭირო. ამ ამოცანას კი პორტი საკუთარი ტექნიკით ვერ ახერხებს და საამისოდ მათ დაიქირავეს სპეციალური მიწახაპია ტექნიკა, რომელიც რუმინეთიდან მოემართება ფოთისკენ. წერილით, APM ტერმინალი იტყობინება, რომ აუცილებელ 9 მეტრამდე არხის გაღრმავებას, საუკეთესო შემთხვევაში, 11 დღე მაინც დასჭირდება, ისიც, თუ სამუშაოებს ამინდი შეუწყობს ხელს (ამინდის პროგნოზი კი დამაიმედებელი სულაც არ არის, – ზღვაზე ამ კვირაშიც შტორმია მოსალოდნელი). პორტი ამუშავებას, რეალურად, 28 დეკემბრისთვის გეგმავს. **„იმედია, ეს ინფორმაცია შეგიქმნით წარმოდგენას, თუ რა გამოწვევებთან გვაქვს საქმე ამ ფორსმაჟორულ მდგომარეობაში და მოგცემთ საშუალებას გადაწყვეტილებები მიიღოთ თქვენს ბიზნესში“**. ანუ, პორტი ოფიციალურად მიმართავს ბენეფიციარებს – თქვენს თავს თავად მიხედეთო.

რეალურად, არის თუ არა შექმნილი ვითარება უამინდობით გამოწვეული ფორსმაჟორი, შეეძლო თუ არა პორტის მმართველ კომპანიას მოსალოდნელი შეფერხებების წინასწარ განსაზღვრა და შესაბამისი პრევენციული ზომების გატარება?

საქმე ის არის, რომ წელიწადის ამ დროს ზღვაზე შტორმი და უამინდობა ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენაა და ეს კარგად იციან ზღვაოსნებმა, საპორტო მომსახურებასთან დაკავშირებულმა კომპანიებმა თუ პირებმა და პორტზე მიბმულმა ბიზნესებმა. როგორც წესი, პორტი ყოველწლიურად მომზადებული ხვდება მოსალოდნელ გამოწვევებს და მუშაობის, პრაქტიკულად, ლამის ერთთვიანი შეჩერება არ ხდება.

ფაქტია, წელს ასე არ მოხდა. ფაქტია, ფოთის პორტი გაჩერებულია და ეს ვითარება საქართველოს და არა მარტო საქართველოს ეკონომიკაზე უაღრესად ნეგატიურად აისახება.

კერძოდ, თუნდაც 28 დეკემბერს პორტის ამუშავების შემთხვევაში, ცხადია, რომ იგი ვერ შეძლებს წლის ბოლომდე დარჩენილ 3 დღეში რეიდზე მდგარი ყველა გემის მიღებას და ტვირთების დამუშავებას. შესაბამისად, ვერ მოხდება ტვირთების განბაჟება და ბიუჯეტს დააკლდება ამ მიმართულებიდან განსაზღვრული სოლიდური შემოსულობები. ტვირთების მფლობელები დროულად ვერ მიიღებენ სხვადასხვა ტიპის საქონელს. მათ შორის სასურსათო პროდუქციას (ბანანი, ფქვილი, გაყინული ხორცპროდუქტები, ტკბილეული და სხვა), რაც ბაზარზე შექმნის დეფიციტს და ბუნებრივად გამოიწვევს ფასების მატებას სადღესასწაულო დღეებში. ქართული ექსპორტიორი კომპანიები ვერ გააგზავნიან ტვირთებს, მათ შორის, მალფუჭებად ციტრუსს, შესაბამისი მიმართულებებით, რაც უაღრესად ნეგატიურ ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს. ეს ის ზარალია, რომელიც, სამწუხაროდ, რეალურად დაუდგება საქართველოს ეკონომიკას, საბიუჯეტო შემოსულობებს და ქართული ბიზნესის სხვადასხვა სექტორს. აღარაფერს ვამბობთ იმავე ხასიათის პრობლემებზე, რაც ფოთის პორტის მომსახურებით მოსარგებლე ჩვენი მეზობელი ქვეყნების ეკონომიკებს მიადგება.

**შექმნილ ვითარებაში, სამართლიანი იქნება, თუ შესაბამისი უწყებები საგამოძიებო დონეზე დაინტერესდებიან, რამდენად რეალურად მიუძღვის ფოთის პორტის მმართველ კომპანიას ბრალი, საკუთარი უმოქმედობით, პრევენციული დანახარჯების არგაწევით, თუ დაგვიანებული რეაქციით, ფორსმაჟორული სიტუაციის გამოწვევაში და ასეთის დამტკიცების შემთხვევაში, მის მიმართ სერიოზულ, სოლიდურ და ფინანსურად მტკივნეულ სანქციებს მიმართავენ, რათა მსგავსი რამ სხვა დროსაც არ განმეორდეს და ქართული ეკონომიკა არ დარჩეს პორტის მიერ რუმინეთიდან დაგვიანებით გამოხმობილი მიწახაპია საზღვაო ტექნიკის მოლოდინის ანაბრად.**

**მანამდე კი ყველა ლოგიკა გვკარნახობს, რომ წინასაახალწლოდ ფოთის პორტის გაჩერებით გამოწვეულ ზარალზე პასუხისმგებლობა სწორედ პორტის მმართველ კომპანიას APM ტერმინალს უნდა დაეკისროს.**

BFM.GE

# ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

**1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

| ლოტის № | ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა | ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოტი №1** | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 85 229 | 53.15.35.079 | 33 000 | 9900 | 990 | 30 |
| **ლოტი №2** | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 70626 | 53.15.35.075 | 27 200 | 8160 | 816 | 30 |
| **ლოტი №3** | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 51 306 | 53.15.35.078 | 19 700 | 5910 | 591 | 30 |
| **ლოტი №4** | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 560 | 53.08.42.244 | 300 | 240 | 240 | 30 |

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2016 წლის 16 დეკემბერიდან 2017 წლის 16 იანვრამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 16 იანვარს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23-21-90.

გამგებელი **ალექსანდრე შათირიშვილი**

ლეგენდა

### ჯიჯი ბუფონი:
# „2018 წელს ფეხბურთიდან წავალ“



**ტურინის „იუვენტუსის“ კაპიტანმა ჯანლუიჯი ბუფონმა premium sport-ს საინტერესო ინტერვიუ მისცა. ვეტერანმა მეკარემ სხვადასხვა თემაზე ისაუბრა. მათ შორის — „ოქროს ბურთზე“, „პორტუზე“, „რომასთან“ მოახლოებულ მნიშვნელოვან მატჩზე და თავის ახალ იმიჯზე...**

**„რომა“** — „რომა“ დიდი გუნდია მაგარი ფეხბურთელებით. არ გამიკვირდება, თუ იტალიის ჩემპიონატს მოიგებს. ვფიქრობ, „ნაპოლისთან“ ერთად ჩვენი მთავარი კონკურენტი „რომაა“.

**„პორტუ“** — რა თქმა უნდა, ჩვენ უპირატესობა გვაქვს „პორტუსთან“ შედარებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ პატივს არ ვცემთ, პირიქით. პორტუგალიელებმა „რომა“ დაამარცხეს და ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ. თუმცა, შეიძლებოდა უფრო არ გაგვმართლებოდა, მაგალითად, როგორც შარშან, როდესაც „ბაიერნი“ შეგვხვდა.

**ულვაში** — არა, სანაძლეო ნამდვილად არ წამიგია. მინდა, გითხრათ, რომ მალე აღარ მექნება, რადგან ოჯახში ამ ფაქტით არ გაბედნიერებულან.

**იტალიის სუპერთასის მატჩი** — ფინალური მატჩი ყოველთვის განსაკუთრებულია, რომელიც სხვადასხვა ემოციებს გიტოვებს და გაძლევს.

**ოქროს ბურთი** — მეცხრე ადგილი? — სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი. 39 წლის ასაკში პირველ ათეულში მოხვედრა ნამდვილად სასიამოვნოა და მოხარული ვარ.

**ჯანლუიჯი დონარუმა „იუვენტუსში“** — გავუწევ თუ არა „იუვენტუსს“ რეკომენდაციას? — რა თქმა უნდა. მე ყველა გუნდს მივცემ რჩევას, რომელსაც მეკარე სჭირდება.

**დასასრული** — 2018 წლის მუნდიალის შემდეგ ფეხბურთიდან წავალ. არსებობს მხოლოდ პატარა შანსი, რომ კიდევ ერთი წელი ვითამაშო, თუმცა არ მგონია.

**გიორგი შოთაძე**

ქომაგობა რაგბულად

### მილტონ ჰეიგი:
# „ჩვენ ერთად ვიზრდებით“

**სპორტი და გულშემატკივარი განუყოფელი ცნებებია და სასიხარულოა, რომ ქართული რაგბის ქომაგთა არმია უკანასკნელ წლებში მუდმივად იზრდება.**

რაოდენობრივ მატებასთან ერთად ამაღლდა მისი ქცევის კულტურა, განსწავლა და ნამდვილ მეთექვსმეტე მოთამაშედ იქცა. გულშემატკივარი „ბორჯღალოსნების“ გამარჯვებისა თუ მარცხის თანაზიარი გახდა და 19 ნოემბერს სამოასთან მოგებული მატჩის შემდეგ გუნდის კაპიტანმა მამუკა გორგოძემ თქვა: „სანამ ასეთი მაგარი გულშემატკივარი გვეყოლება, ჩვენც ასე მაგრად ვითამაშებთ!“



2010 წლიდან დღემდე 8-ჯერ დაფიქსირდა ანშლაგი: ამ პერიოდში ორჯერ გაივსო „დინამო არენა“, რომელიც 55 ათასამდე მაყურებელს იტევს — 2014 წელს რუსეთთან და 2016 წელს რუმინეთთან, ხოლო ამავე მეტოქეებთან ჯახმა ორ-ორჯერ შეავსო „მესხის“ 24-ათასიანი ტრიბუნა. „მესხის“ ტრიბუნები პირთამდე შეივსო აგრეთვე ნოემბრის ტესტ-სერიის ორივე საშინაო მატჩზე;

„ბორჯღალოსნებს“ გულშემატკივრები დაჰყვებიან გასვლით შეხვედრებზეც, როგორც მსოფლიო თასის, ასევე რაგბი ევროპის ჩემპიონატის თამაშებზე. ევროპის სხვადასხვა ქალაქებიდან ქომაგები იკრიბებიან ლისაბონში, მადრიდში და ბრიუსელში, ხოლო რუსეთში გამართული თამაშებისას, მაყურებლის ნახევარზე მეტს ადგილობრივი ქართველები შეადგენენ. 2010 წელს ტრაბზონი ერთი დღით „ქართულ ქალაქად“ იქცა და 8-ათასიანი სტადიონის ტრიბუნებმა ყველა მსურველი ფიზიკურად ვერ დაიტია.

რაგბის პოპულარობის და ქომაგის სარაგბო განსწავლის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ტელეტრანსლაციებს. 2003 წელს „ბორჯღალოსნების“ მსოფლიო თასზე პირველად გასვლის შემდეგ, რაგბი ტელევიზორში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩანდა და 2015 წელს ტელემაყურებელმა მსოფლიო თასის ყველა შეხვედრა იხილა.

გარდა მსოფლიო თასის შეხვედრებისა, საზოგადოებრივი მაუწყებლით წარმოებს რაგბი ევროპის ჩემპიონატისა და „ბორჯღალოსნების“ ტესტ-მატჩების პირდაპირი ტელერეპორტაჟები. წელს შედგა რეპორტაჟები მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატიდან და ყოველკვირეულად ეწყობა დიდი 10-ის ტურის ცენტრალური მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი. კომენტატორებს აღარ სჭირდებათ რაგბის ელემენტარული წესების ახსნა, რაც გულშემატკივრის განსწავლის ამაღლების შედეგია.

ტრიბუნებზე ქომაგთა რაოდენობის ზრდის პარალელურად, დაიხვეწა მათი ქცევის წესები და ჩამოყალიბდა ტრადიციები:

გულშემატკივარი გუნდთან ერთად ასრულებს საქართველოს ჰიმნს;

მაყურებელი თამაშის დასრულების შემდეგ ელოდება „ბორჯღალოსნების“ საპატიო წრეს;

პატივს სცემს მეტოქე გუნდის ჰიმნს და წინასამატჩო რიტუალს;

გულშემატკივარი სტადიონზე ოჯახებით დადის და სამი თაობის წარმომადგენლები ერთად ქომაგობენ „ბორჯღალოსნებს“.

„ბორჯღალოსნების“ მთავარი მწვრთნელი ქართველ ქომაგს მსოფლიოში საუკეთესოს უწოდებს და ნოემბრის ტესტ-მატჩების შემდეგ იაპონელთა და სამოელთა სამწვრთნელო შტაბის ნააზრევს გვიმხელს:

„მინდა, გაგანდოთ იაპონიისა და სამოას სამწვრთნელო შტაბის ნააზრევი, რომელიც მათგან მატჩის შემდეგ მოვისმინე — არც მოგებული და არც წაგებული თამაშის შემდეგ, არსად გვინახავს მაყურებელი სტადიონზე რჩებოდეს და საპატიო წრისას გუნდს ასე გულანთებულად უხდიდეს მადლობას. ჩვენთან ასე არ ხდება, განსაკუთრებით წაგებული მატჩის შემდეგ — მოიხედავ და სტადიონი ცარიელია“.

**კობა კობახიძე**

თაობა

# კადეტთა 7 მედალი მსოფლიოს ხალიჩიდან

**საქართველოს კადეტ სამბისტთა ნაკრების წევრი თორნიკე მარგველაშვილი (50 კგ) მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 2016 წლის სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაზე, რომელსაც ლიმასოლმა უმასპინძლა, საქართველოს ნაკრებმა 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**



სამბოს საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, მარგველაშვილმა ფინალში უკრაინელი მიკოლა კულიბაბა დაამარცხა.

მიხეილ ბახბახიშვილსა (66 კგ) და ნიკა ხარაზიშვილს (78 კგ) უმაღლეს ტიტულამდე თითო გამარჯვება დააკლდათ, მესამე საპრიზო ადგილები კი დავით ბახბახიშვილმა (42 კგ), ოთარ სოზიაშვილმა (72 კგ), დიმიტრი ნასყიდაშვილმა (84 კგ) და ალექსი სვიანაძემ (+84 კგ) დაიკავეს.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მასპინძლის - კვიპროსის გარდა 20 ქვეყნის ნაკრები გამოვიდა.

**ბადრი იაშვილი**

ჩოგბურთი

# კერბერი და მარეი — წლის საუკეთესო ჩოგბურთელები

**ITF-მა 2016 წლის საუკეთესო ჩოგბურთელებად ანგელიკა კერბერი და ენდი მარეი დაასახელა.**

ენდი მარეიმ 2016 წელს ცხრა ტურნირზე მოიპოვა გამარჯვება, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უიმბლდონი და რიოს ოლიმპიადა. მარეი კარიერაში პირველად გახდა ნომერ პირველი ჩოგბურთელი.

კერბერმა ამერიკისა და ავსტრალიის ღია პირველობები მოიგო. ანგელიკამ ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა და რაც მთავარია — მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი გახდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ხელბურთი

# ჰოლანდია, დანია, საფრანგეთი...

**ევროპის ქალთა ჩემპიონატზე, შვედეთში, გამოვლინდა ნახევარფინალური წყვილები. დღეს ითამაშებენ ნორვეგია-საფრანგეთი და ჰოლანდია-დანია. დანიამ უშუალო კონკურენტი, რუმინეთის ნაკრები დაამარცხა, 21:17.**



ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს ცნობილი იყო ერთი ნახევარფინალისტი, ნორვეგია. ევროპის მოქმედ ჩემპიონებს განაღდებული ჰქონდათ პირველი ადგილი მეორე ჯგუფში. ნორვეგიას პირველი დაემატა ჰოლანდია, რომელსაც გაუჭირდა ესპანეთის დამარცხება. დასრულებამდე 15 წუთით ადრე ესპანეთი წინ იყო, 20:19, მაგრამ ამის შემდეგ 6 გოლი მარტო ესტავანა პოლმანმა გაიტანა. ჰოლანდიამ 29:24 მოიგო, პირველი ადგილი დაიკავა ჯგუფში და რადგანაც საფრანგეთისთვის პირადი თამაში მოგებული ჰქონდა, ნახევარფინალში ნორვეგიას ასცდა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რუსეთმა 26:26 ითამაშა უნგრეთთან.

ამის შემდეგ გაიმართა დღის მთავარი მატჩი, რუმინეთი — დანია. რუმინელებს ფრე ჰყოფნიდათ, დანიას მოგება სჭირდებოდა ნახევარფინალში გასასვლელად. დანიის ნაკრები სამგზის ოლიმპიური (1996, 2000, 2004), ევროპის (1994, 1996, 2002) და მსოფლიოს (1997) ჩემპიონია, მაგრამ ბოლოს ბრინჯაოს მედალი 2013 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა, რის შემდეგაც სერიოზული კრიზისი ჰქონდა და ბოლო ოლიმპიადაზე ვერც მოხვდა.

ქრისტინა ნიაგუს პრობლემა მწვრთნელმა კლავს იორგენსენმა აქტიური დაცვით (4-2, 3-2-1) გადაჭრა და თამაშის ბოლოს ჩემპიონატის მთავარ ბომბარდირს 13 დარტყმიდან მხოლოდ 3 გოლი დაუგროვდა. დანიელთა შეტევაში მთავარი როლები ჰქონდათ ახალგაზრდა ინსაიდებს — 22 წლის ანე-მეტე ჰანსენს და მეტე ტრანბორგს (9+4 გოლი), ამას დაემატა სანდრა ტოფტის 15 სეივი და უკვე მეორე ტაიმის დასაწყისში რუმინეთის გუნდი აბსოლუტურად დაშლილი იყო — 19:13. 45-ე წუთზე და საბოლოოდ — 21:17. რუმინეთი მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის ითამაშებს, დანია კი ნახევარფინალში ჰოლანდიას შეხვდება.

ამასობაში გერმანიამ 28:22 მოუგო შვედეთს, გადაასწრო საფრანგეთს და მეოთხე ნახევარფინალისტი საფრანგეთ-სერბეთის მატჩში უნდა გამოვლენილიყო. სერბეთმა, რაც შეეძლო, იბრძოლა, მაგრამ ბოლოში გატყდა — 21:28. საფრანგეთი ნახევარფინალში შეხვდება ევროპის ექვსგზის ჩემპიონ ნორვეგიას, რომელმაც ზედიზედ მეექვსე თამაში მოიგო, ამჯერად ჩეხეთთან, 35:24.

ნახევარფინალისტებმა გაინაღდეს მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატზე თამაში, დანარჩენი 11 გუნდი (გერმანია მასპინძელია) კი საგზურისთვის პლეი-ოფში იბრძოლებს.

**ბეჟან დოლიძე**

# „თუ ომი დაიწყო, რუსეთის მთავრობა ათ იუნესკოს გადაწყვეტილებასაც არაფრად ჩათვლის“

## მცხეთის ისტორიულ ძეგლებს ჩვენ უნდა მივხედოთ!

**იუნესკომ მცხეთის ისტორიულ ძეგლებს გაძლიერებული დაცვის სტატუსი მიანიჭა. აღნიშნული გადაწყვეტილება 8 დეკემბერს პარიზში „შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ“ ჰააგის კონვენციის მეორე ოქმის კომიტეტის წევრი ქვეყნების მე-11 სხდომაზე მიიღეს. ამ სტატუსის მიხედვით, შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეები ვალდებული არიან, საომარი მოქმედებების დროს უზრუნველყონ იმ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა დაცვა, რომელთაც მინიჭებული აქვთ გაძლიერებული დაცვის რეჟიმი; თავი შეიკავონ მათზე საომარი შეტევის განხორციელებისა და საომარ ოპერაციებში ამ ობიექტების ან მათი მიმდებარე ტერიტორიების გამოყენებისგან.**

**დღეს ასეთი გაძლიერებული დაცვის სტატუსი მსოფლიოში მხოლოდ ათ ობიექტს აქვს მინიჭებული. მათ შორისაა, ქალაქი პაფოსი (კვიპროსი), ციხე-სიმაგრე „Castel de monte“ (იტალია), შირვანშაჰის სასახლე (აზერბაიჯანი) და სხვა.**

ჰააგის კონვენციის მეორე ოქმის თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობაზე შეიძლება გავრცელდეს გაძლიერებული დაცვის რეჟიმი, თუკი ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. წარმოადგენს კაცობრიობისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურულ მემკვიდრეობას;

2. აღიარებულია განსაკუთრებული კულტურული და ისტორიული ღირებულების ქონებად შიდა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ნორმების შესაბამისად;

3. არ გამოიყენება სამხედრო მიზნებისთვის ან სამხედრო ობიექტების დაფარვის მიზნით და არსებობს კულტურულ ფასეულობებზე მაკონტროლებელი მხარის განცხადება, რომ ეს ქონება არ იქნება გამოყენებული სამხედრო მიზნით.

მცხეთის ისტორიული ძეგლებისთვის იუნესკოს გაძლიერებული დაცვის სტატუსის მინიჭებას სამხატვრო აკადემიის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი, მცხეთის ქალაქ-მუზეუმის ყოფილი დირექტორი **თემურ ბიბილური** დადებით ფაქტად აფასებს და ამბობს, რომ, თუ უცხოელებმა ძეგლებთან გაგვაიგივეს, ეს კარგი ფაქტია, მაგრამ საომარი მოქმედებების შემთხვევაში, ისეთი ბარბაროსი მეზობელი გვყავს, რომ არაფრად ჩათვლის იუნესკოს გადაწყვეტილებებს.

**„ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, თუ ომი დაიწყო, რუსეთის მთავრობა ათ იუნესკოს გადაწყვეტილებასაც არაფრად ჩათვლის. მიუხედავად იმისა, რომ იუნესკოს გენერალური მდივანი რუსი ქალბატონი კარგი ადამიანია, მათი მთავრობა სხვაგვარად აზროვნებს. მით უმეტეს, გვაქვს ძეგლების ხელყოფის გამოცდილება აფხაზეთსა და შიდა ქართლში. აგერ, ალეპოა ცხვირწინ, მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქი, რომელიც რუსულმა ავიაციამ მიწასთან გაასწორა. მოსპეს მთლიანად, არაფერი აღარ დარჩა მისგან. სამწუხაროდ, იუნესკოს ეს სტატუსი ვერაფერს შველის იმ ფაქტს, რაც დღეს მცხეთის ირგვლივ ხდება.**

**თუმცა გვაქვს მოსალოცი ამბებიც. კერძოდ, მცხეთაში ჯერ კიდევ ჩემი დირექტორობის დროს საკითხი დაისვა მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართ და ისიც მხარს გვიჭერდა, რომ მცხეთის კარიბჭე გადასცემოდა ჩვენს მუზეუმს. მერე მინავლდა ეს ამბავი, მოგვიანებით გაიყიდა მცხეთის მუზეუმის არსებული შენობა, მუზეუმი უსახლკაროდ დარჩა და, საბედნიეროდ, წელს გადაწყდა, რომ მომავალი წლიდან მცხეთაში ახალი მუზეუმი აშენდება სწორედ კარიბჭის შენობაში. ეს მოსალოცი ამბავია ისევე, როგორც მოსალოცი იყო, რომ იუნესკომ ქართული ანბანი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. სამწუხაროდ, ჩვენმა ნაციონალურმა საინფორმაციო საშუალებებმა ამას წაუყრუეს. არადა, პირველი სამი დღე მაინც პირველ ნიუსად უნდა გაეშვათ და არა — ბოლო ნიუსად. რაც შეეხება პრობლემებს, წმინდა ქალაქი მცხეთა ამის ნაკლებობას არ განიცდის“,** — აცხადებს თემურ ბიბილური.

სამთავროს ველზე, რომელიც გაჯერებულია ანტიკური ხანის და არა მარტო ანტიკური ხანის სხვადასხვა სახის ძეგლებით, გააშენეს ზეთისხილის ბაღი. თავისთავად, ზეთისხილის ბაღი და ყველანაირი სიმწვანე კარგია, მაგრამ, როცა აშენებ ისეთ ადგილას, სადაც ძეგლებია, არსებობს საფრთხე, რომ ზეთისხილის ფესვები დაანგრევს და გაანადგურებს ამ ძეგლებს.

ამას ემატება სამთავროს მთავარი საეპისკოპოსო ტაძრის იერსახეც, რომლის გვერდითაც



დედათა მონასტერია განთავსებული. უკვე რამდენი წელია, ქუჩის მხრიდან მის მარჯვენა მხარეს ახლად აშენებული ყორე აუშნოებს. მის შიგნით კი ძველი ტრაქტორი, ფუტკრის ძველი და ახალი სკრებია, რაც არ უხდება იმ ქალაქს, რომელსაც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის პრეტენზია აქვს. ამას ემატება გაუაზრებელი მშენებლობა ამ ქალაქში, რომელიც მორატორიუმის მიუხედავად მაინც გრძელდება.

ამ პრობლემებთან ერთად, თემურ ბიბილური ყველაზე მთავარ ნაკლოვანებაზეც ამახვილებს ყურადღებას. იმისთვის, რომ მცხეთა მართლაც ამართლებდეს კავკასიის არქეოლოგიური მეცნიერების მექის სტატუსს, საჭიროა, აღდგეს მცხეთის სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც აღარ არსებობს. ადრე იყო მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც გადაიქცა მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტად, მერე ეს ინსტიტუტი შეუერთეს ეროვნულ მუზეუმს და იქ სამეცნიერო მუშაობა ჩაკვდა. ახლა ამ ტიპის სამუშაოები ისევ უნდა განახლდეს, უნდა წარმოებდეს სისტემატური გათხრები, კვლევები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაუახლოვდება მცხეთა ძველ სტატუსს, რაც მას ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში, ანუ „დიდი სამეუფეო ქალაქი მცხეთა“ (როგორც ის ისტორიულ წყაროებში იხსენიებოდა) და, ასევე, — „წმინდა ქალაქი მცხეთა“ (როგორც საეკლესიო წყაროებში მოიხსენიებოდა).

**„ჩვენმა სინოდმა აღადგინა „წმინდა ქალაქ მცხეთის“ სახელწოდება, მაგრამ ჩვენს კანონმდებლებს უნდა მივმართო მარტივი კითხვით — რატომ არის, რომ ჩვენთან სამეცნიერო პრაქტიკული საქმიანობა გათანაბრებულია სამეწარმეო საქმიანობასთან? რატომ ექვემდებარება სამეცნიერო საქმიანობა (არქეოლოგიური გათხრები, ექსპედიციები) ტენდერებს და რატომ იბეგრება დღგ-თი? სწორედ ეს განაპირობებს მთავარ პრობლემას, თუ რატომ უჭირს დღეს მცხეთას და, ზოგადად, ქართულ ძეგლებს“.**

არქიტექტორი, ეზოთერიკოსი გია პარკაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, მართალია, მცხეთის მსგავსად, იუნესკოს გაძლიერებული დაცვის სტატუსი მსოფლიოში მხოლოდ ათ ობიექტს აქვს მინიჭებული, მაგრამ ვერც ერთი მათგანი თავისი მნიშვნელობით ვერ გაუტოლდება მცხეთას, ვერც ქალაქი პაფოსი, ვერც ციხე-სიმაგრე „Castel de monte“ და ვერც შირვანშაჰის სასახლე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ, მინიმუმ, ორი ათასი წელია და უფრო მეტიც, ქალაქი მცხეთა არის მომავლის იერუსალიმი. ნაწინასწარმეტყველების მიხედვით, მეორედ მოსვლის ჟამს, როცა უფალი მობრძანდება, ისევე შევა მცხეთაში, როგორც თავის დროზე დიდებით შევიდა იერუსალიმში. ამიტომ ეს ქალაქი მსოფლიო ღირებულების განუზომელი ფასეულობაა.

**„აქ იმდენი რამ არის დაფარული, რის შესახებ კაცობრიობამ ჯერ კიდევ არაფერი არ იცის. სხვა რამეს თავი რომ დავანებოთ, მცხეთაში დავანებულია უფლის კვართი, ელიას ხალენი. ამ სიწმინდეებს თვითონ უფალი დაიცავს, მაგრამ კარგია, ადამიანებიც რომ ცდილობენ მათზე ზრუნვას. რაც შეეხება საომარი მოქმედებების დროს მცხეთის ისტორიული ძეგლების დაცვას, რუსის ფენომენი ისეთია, რომ თავად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს არაფერს დაუშავებენ, მაგრამ თავის სტილზე გადააკეთებენ. ასე მოხდა აფხაზეთში ილორის წმინდა გიორგის ტაძართან მიმართებით, რომელიც რუსებმა თავიანთი არქიტექტურული გამოხატულებით გარდაქმნეს. ამიტომ ომი იქნება თუ არა, ამის მიუხედავად, თუ რუსს მიეცემა შანსი, ყველაფერს გააკეთებს, რომ ქართული ტაძარი ჩამოფხიკოს და შიგნიდან შეათეთროს. ასეთი რამ არაერთხელ გაუკეთებიათ. მოზაიკებს რუსები ნაკლებად იყენებენ, ისინი ხატს დაასვენებენ ხოლმე, ოღონდ მანამდე ათეთრებენ ეკლესიის კედლებს“,** — აცხადებს გია პარკაია.

ამასთან, მცხეთაში განაშენიანების პრობლემაც მტკივნეულია, რადგან იუნესკო ამას ვერ უშველის. მისი აზრით, ჩვენ თვითონვე არ უნდა დავუშვათ ეს შეცდომა და ქართველებმა ფულის გულისთვის არ უნდა დავანგრიოთ ისტორიული ძეგლები.

**მანანა ნოზაძე**

---

# „სიცოცხლის ხე“ ბავშვთა სახლს ეხმარება



**საქართველოს ბანკის ფონდმა „სიცოცხლის ხე“ ქალაქ რუსთავში, საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი, რომლის საერთო ფართი 114 კვ.მ-ია გაარემონტა, ამასთან ბავშვთა სახლს საჩუქრად გადასცა ავეჯი, საგანმანათლებლო და მხატვრული წიგნები. საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში, ასევე მოეწყო საგანმანათლებლო სივრცე და სამკითხველო. საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის, კეთილმოეწყო ეზო.**

რუსთავის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში ამჟამად 6-დან 18 წლამდე ასაკის 6 მზრუნველობამოკლებული ბავშვი ცხოვრობს. ბენეფიციარებს, ბავშვთა სახლი 24-საათიან მომსახურებას უწევს, მომსახურებაში შედის კვებაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, დასვენებაზე და სეზონურ ტანსაცმელზე ზრუნვა.

ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“-ს, რომლის მიზანია ბავშვების ოჯახებში რეინტეგრაცია და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება, საქართველოს ბანკის ფონდმა, ჯერ კიდევ 2009 წელს საჩუქრად გადასცა კეთილმოწყობილი და სრული ინვენტარით აღჭურვილი ბინა. 2009 წლიდან დღემდე სახლში 17 მზრუნველობამოკლებული ბავშვი გაიზარდა.

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში მომხდარი ქურდობის ფაქტი გახსნილია...




**შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1954 წელს დაბადებული თ.გ. განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლების ბრალდებით დააკავეს.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თბილისში, გუდიაშვილის ქუჩაზე, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნით დათარიღებული ისტორიული და კულტურული ფასეულობის მქონე ორი უნიკალური წიგნი მოიპარა. ამის შემდეგ, დანაშაულის დაფარვის მიზნით, ბიბლიოთეკაში სხვა წიგნები დატოვა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

# ტრაგედია თბილისში

**თბილისში, წყნეთის ქუჩაზე ბებია და შვილიშვილი გარდაიცვალნენ. შემთხვევა, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია.**

მომხდარს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც უსაფრთხოების ნორმების დარღვევას გულისხმობს.

# გაფრთხილდით სადღესასწაულო დღეებში

**შსს სადღესასწაულო პიროტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:**



„შინაგან საქმეთა სამინისტრო, შობა-ახალი წლის დღესასწაულების მოახლოებასთან დაკავშირებით, მოსახლეობას პიროტექნიკის გამოყენების თაობაზე რეკომენდაციით მიმართავს. სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, სიფრთხილით მოეკიდონ სადღესასწაულო ასაფეთქებელ საშუალებებს, გამოიყენონ ისინი ინსტრუქციის მიხედვით და მოარიდონ პიროტექნიკას არასრულწლოვანი პირები, რადგან აღნიშნული საშუალებების არასწორად გამოყენება ხშირად სავალალო შედეგებით – ჯანმრთელობის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით სრულდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, პიროტექნიკის გამოყენებისას მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების წესები და გაუფრთხილდნენ საკუთარ და გარშემომყოფი ადამიანების ჯანმრთელობას“.

## ანეკდოტები

**– ბატონო პროფესორო, ზარი დაირეკა, კარი რომ გავაღე, მაწანწალა იდგა, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. რა ვქნა, მივცე რამე? – ეკითხება მსახური საქმით გართულ პროფესორს.**

**– აუცილებლად, ჯონ, აუცილებლად! გაუტანეთ მას ორი... არა სამი ორუცნობიანი განტოლება!..**

* * *

**– ძვირფასო, ჩვენ ერთმანეთი ხომ პეკინში გავიცანით? – ეკითხება ხანდაზმული ლორდი ახალგაზრდა მეუღლეს.**



**– არა, საყვარელო, მე პეკინში არასდროს ვყოფილვარ.**

**– ჰო... რა საინტერესოა... პეკინში არც მე არ ვყოფილვარ... მაშასადამე, ეს ორი ვიღაც სხვა ადამიანი იყო, ვინც ერთმანეთს პირველად იქ შეხვდა!..**

* * *

**მიღებაზე ექიმთან:**

**– ახლა კი, პატივცემულო, ერთი მუხლი მოხარეთ.**

**– რომელ მხარეს მოვხარო, ექიმო?**

* * *

**აგორებული ანტიდოპინგური სკანდალის ექო:**

**– რა არის სპორტში მთავარი?**

**– ანალიზები!**

* * *

**ერთმა ქერათმიანმა ტურისტმა მანდილოსანმა სახლი მოინახულა, რომელშიც უილიამ შექსპირი დაიბადა და სამშობლოში, ამერიკაში რომ ბრუნდებოდა, თვითმფრინავის ტრაპთან დაქალს ეუბნება:**

**– წარმოგიდგენია, ძვირფასო, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ შინ სწორედ იმ თვითმფრინავით ვბრუნდებით, რომლითაც ოდესღაც თვით გენიალურ დრამატურგს უმგზავრია!**

# საყურისების საფრთხე

**ბოლო დროს სულ უფრო მეტი ხალხი მობილური ტელეფონის საყურისებს არც ქუჩაში, არც საზოგადოებრივ ტრანსპორტში არ იცილებს. არადა, რუსეთის აუდიოლოგიისა და სმენოთერაპიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის დირექტორის, მედიცინის დოქტორის გიორგი თავართქილაძის თქმით, ამ დროს სმენის დაქვეითების ანდა, სულაც, დაკარგვის საფრთხე, ძალიან დიდია.**



– მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ოფიციალური მონაცემებით, სმენის დაქვეითების საფრთხე მსოფლიოს ამჟამად მილიარდ 100 მილიონ მოზარდს ემუქრება, რომლებიც გამუდმებით პლეერებითა და ხმის გამაძლიერებელი სხვა მოწყობილობებით სარგებლობენ, – აცხადებს დოქტორი თავართქილაძე. – ეს სრული კატასტროფაა!

ამჟამად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ეგიდით სმარტფონების, პლეერებისა და სხვა ტექნიკის მწარმოებლებთან აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რომელთა მიზანი ისაა, რომ მოწყობილობათა მომავალ თაობათა შექმნისას, მწარმოებლებმა მათში ხმის სიძლიერის პროგრამული შემზღუდველების ჩაყენება გაითვალისწინონ. ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილება 2017 წლის განმავლობაში იქნება მიღებული.

ამასთან, საყურისების გამოყენებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მეტად სერიოზული პრობლემა არსებობს – მათ გამო ადამიანები სულ უფრო ხშირად ყვებიან მანქანების და, წარმოიდგინეთ, მატარებლების ქვეშაც კი, ვინაიდან გამაფრთხილებელი ხმოვანი ნიშნები, ელემენტარულად, არ ესმით.

# ნაზი მომღერლის უხეში თაყვანისმცემელი

**ცოტა ხნის წინათ ცნობილმა რუსეთელმა შოუმენმა ვლადიმერ სლეპაკოვმა თავის ერთ-ერთ „სახუმარო“ სიმღერაში რუსეთის ესტრადის ცნობილი სახეები და არანაკლებად ცნობილი მამათმავლების სახელები ჩამოთვალა – ფილიპ კირკოროვი, ბორის მოისეევი, ასევე ნიკოლაი ბასკოვი. ამ უკანასკნელს ბოლო გასტროლების დროს ერთობ კურიოზული რამ დაემართა.**



ვილნიუსში (ლიტვა) კონცერტის დამთავრების შემდეგ მომღერლის ერთ-ერთმა თავგადაკლულმა თაყვანისმცემელმა იგი სცენიდან... ფეხებით ჩამოათრია. 40 წლის „ტურფა“ ნიკოლაის ხელში შეკავება მანდილოსანმა ვერ შეძლო და მასთან და დაცვის რამდენიმე წევრთან ერთად იატაკზე გაგორდა, თუმცა, ადგილობრივი პრესის ცნობით, მომღერალი არ დაშავებულა და მხოლოდ ბრჭყვიალა სამოსელი შეელახა ოდნავ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## ტელეფონების ნომრები, რომლებიც, საგანგებო ვითარებაში, შეიძლება, თითოეულ ჩვენგანს დასჭირდეს:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარება – 112,
- საპატრულო პოლიცია –112;
- სახანძრო-სამაშველო სამსახური – 01; 011; 275-20-85; 241-17-17; 241-17-72;
- დაცვის პოლიცია: 125;
- გენერალური ინსპექცია – 126;
- ცნობათა ბიურო – 118 -08;
- დედაქალაქის მერიის ცხელი ხაზი – 272-22-22;
- ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი – 294-49-11; 294- 34-98;
- სახალხო დამცველის აპარატი – 299-58-98; 292-24-79;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი – 237-69-50; 245-45-33;
- ბავშვის უფლებათა საქალაქო ცენტრი – 299-66-04;
- ამინდის ბიურო – 243-95-31; 245-95-39;
- ყაზტრანსგაზის საინფორმაციო სამსახური – 231-04-04;
- გაზის საავარიო – 04; 274-86-27; 274-89-04;
- თელასის საინფორმაციო ცენტრი – 27-52; 225-52-11;
- თელასის ცხელი ხაზი – 277-99-99; 227-44-11;
- წყალკანალის ცხელი ხაზი – 293-11-11;
- წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური – 248-72-88;
- კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი – 293-11-11;
- აეროპორტის საინფორმაციო ბიურო – 231-04-21;
- რკინიგზის საინფორმაციო ცენტრი – 13-31; 2-19-90-10;
- დიდუბის ავტოსადგური „ოკრიბა“ – 234-26-92;
- ნავთლუღის ავტოსადგური – 274-83-03; 274-63-23.










## განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6604; ევრო - 2.8301;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3673;
100 რუბლი - 4.3778; თურქული ლირა - 0.7643;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4820;
1000 სომხური დრამი - 5.4820.

### ამინდი 16 დეკემბრისთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -7 | დღე +5 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -13 | დღე -1 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -5 | დღე +6 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -9 | დღე +1 |
| თბილისი: | ღამე -3 | დღე +3 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE